№ 2965
ოთხშაბათი,
7 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2965
ოთხშაბათი,
7 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და [illegible] განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის
დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და ოსკოვის სავაჭრო სახლიდან.
იპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე აქესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.
საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად
„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—6.—43)

მოწოდება
ყველა **მანდილოსანთ** ეროვნებისა და სოციალურ მდგომარეობის განურჩევლად.
ხშირ გაფიცვებისა და მისვლა-მოსვლის შეწყვეტის გამო, დაგვიანდა გამოწერილ სხვა და სხვა საქონლის მიღება. ამის მიზეზით ვაჭრობა შეფერხდა. ამიტომ
ა. ო. მელიქ-მუშკამბარიანცის
სამოდო და სამანუფაქტურო საქონლის მაღაზია (გოლოვინის პროსპ., № 16, სახლი სტეფანოვისა), რომელსაც აქვს **125.000 მანათის** საქონელი, მიღებული გაფიცვებამდე რამდენისამე დღის წინად,
ნიშნავს
დიდს და იაფს გასყიდვას ამა წლის 25 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე მხოლოდ **საფაბრიკო ფასებით.**
გაისყიდება ბევრი სხვა და სხვა მატერია დედა-კაცისა და მამა-კაცის ტანისამოსისათვის: აბრეშუმის, შალის, მაუდის, ტილოს, ქალალდის ნაქსოვისა. გარდა ამისა, საბნები პლიუშის, ბაიკის, ნაქსოვი და სხვა საქონელი.
ისყიდება შეუვაჭრებლად (10—9)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. ეზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დევიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. აველიხოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—36)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—35)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—24)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—37)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 5—6 საათამდე. (თვ.—80—37)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ).

ექიმი
მ. პ. ბეჟირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—$7^{1}/_{2}$ საათ. (თვ.—14)

ტფილისი, 6 დეკემბერი.

ბრმა და ყრუ

რუსეთის და იაპონიის ომს ბ-ნმა ნემიროვიჩ-დანჩენკომ უწოდა ბრმა ომი. ეს სახელი მართლა და მშვენივრად ასურათხატებს სინამდვილეს. რუსეთის მთავრობამ არ იცოდა, ვის ეომებოდა, რით ეომებოდა, რა უნდოდა. დაბრმავებული ვარდებოდა ერთ ორმოდან მეორეში, სანამ არ ჩავარდა ისეთ ღრმა ორმოში, საიდან ამოსვლაც შეუძლებელი გახდა. ეს ორმო ცუსიმა იყო. იქიდან ვეღარ ამოაღწია დაბრმავებულმა რუსეთის მთავრობამ და ძირიდან შეემუდარა ძლევამოსილს იაპონიას, ხელი მიეცა და შინ მშვიდობით გაესტუმრებინა. იაპონიის დიდსულოვანებამ დაიხსნა რუსეთი სამუდამო სიკვდილისაგან. პატარა იაპონიამ ამოიყვანა ორმოდან რუსეთის ბრმა მთავრობა და შინ გამოგზავნა.

მაგრამ, შეხე მუხთალ ბედს, შინ დაუხვდა ახალი მტერი, მტერი შინაური. კვლავ დაიწყო რუსეთის მთავრობამ ბრძოლა, კვლავ გამოაცხადა ომი, მაგრამ ისეთივე ბრმა, როგორც იყო ომი იაპონელებთან. თუ სამაცხვინო ომში რუსეთის მთავრობას კიდევ შერჩა კეთილგონიერება, რომელმაც უკარნახა მუდარით მიემართნა იაპონიისთვის და თავი გადაერჩინა აუცილებელ სიკვდილისგან, ახალ ომში ეს კეთილგონიერება სრულიად დაჰკარგა და დაბრმავებული მიდის იმ ორმოსკენ, საიდანაც ამოსვლა შეუძლებელი გახდება და სადაც საუკუნოდ უნდა დაიმარხოს. ბრმა მთავრობა ვერა ჰხედავს ახალ ცუსიმას; ვერა ჰხედავს, რომ ცუსიმა და იმისი სიკვდილი ერთი იქნება, რადგან შინაური მტერი არ გამოიჩენს იმ დიდსულოვანობას, რომელიც გამოიჩინა კეთილმა იაპონიამ: შინაური მტერი შეუბრალებელია, უფრო ულმობელია, ვიდრე გარეული.

მთავრობა არა ხედავს, ვის ებრძვის, რით ებრძვის, მხოლოდ-და იცის, რომ იბრძვის თავის არსებობისათვის. ამის გულისთვის დაუვიწყნია ყველაფერი, უბრალო კეთილგონიერებაც, და დაბრმავებულის იერიშით მიდის მტერზედ და არა ფიქრობს, რა შედეგს მოიტანს იგი.

სიბრმავის ერთი ახალი ნიშანი არის შინაგან საქმეთა მინისტრის, ამიერიდან გამოჩენილ დურნოვოს, ცილკულიარი, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეების გაფიცვის გამო გამოცემული. განრისხებული მინისტრი აცხადებს, რომ მთავრობა არასგზით არ დასთანხმდება და ნებას არ მისცემს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა კავშირი შეადგინონ. წინადადებას აძლევს, დაუყონებლივ დათხოვნილ იქმნენ წამქეზებელნი და კავშირის წევრნი და მადლობა გამოეცხადოს იმათ ვინც არ დაივიწყა სამსახურის მოვალეობა; მინისტრი 500,000 მან. უწყალობებს იმათ, ვინც არ გაფიცვაში მონაწილეობა არ მიიღო, და ჰპირდება თავის მფარველობას, სანამ მინისტრის ადგილი ეჭირება.

მთავრობა უიმედოდ დაბრმავებულა. ერთი სხივიც-კი აღარ უნათებს გზას. ალბად ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვის გამო მთავრობამ არ იცის, რა ხდება მის სამთავროში. სამთავროში-კი რევოლიუციის ღელვა გაძლიერდა. დღითი დღე იზრდება მისი ტალღები და შორს არ არის წამი, როდესაც უზარმაზარი ტალღა წალეკავს იმას, ვინც ბრმად ლამობს მის დამშვიდებას, ვისაც ჰგონია, რომ 500,000 მანეთმა შეიძლება გამძვინვარებული ქარიშხალი ჩააყენოს და კვლავ ამართოს დროშა თავის გემზედ.

ჟოზეფ რეინაკმა, საფრანგეთის ცნობილმა მოღვაწემ, ამ ზაფხულს მოიარა რუსეთი და მშვენიერი შთაბეჭდილება გამოიტანა. იგი დარწმუნდა, რომ განთავისუფლების საქმე რუსეთში მალე სასურველად გათავდება. როცა რუსის ზოგიერთმა მოღვაწემ იჭვიანის თვალით შეხედა იმის ოპტიმიზმს, რეინაკმა უამბო ერთი ამბავი დიდროს ცხოვრებიდან. დიდროს თავის ბავშვისთვის ანბანი უნდა ესწავლებინა ბავშვი გაურჩდა, არა უნდოდა სწავლა. „გთხოვ, სთქვი „ა-ნი" ეხვეწებოდა დიდრო. „არ მინდაო", უპასუხა ბავშმა. „რატომ?"—„ა-ნი„ რომ ვსთქვა, მაშინ „ბ-ანს" მათქმევინებ",—მოუჭრა ბავშვმა. რუსეთის მთავრობამ „ა-ნი" უკვე სთქვაო, ამბობს რეინაკი, და უეჭველია „ბ-ნსაც" და „გ-ანსაც" იტყვისო. რეინაკის ოპტიმიზმი მგზავრის არა ღრმა დაკვირვების შედეგია. ეხლა რომ ვკითხოთ რეინაკსა, უთუოდ იტყვის, რომ რუსეთის მთავრობა დიდროს ბავშს ემზგავსებაო, ისიც ისე ურჩობს, როგორც პატარა დიდრო და არა სურს ანბანის სწავლაო.

ჩვენთვის რუსეთის მთავრობა დიდროს ურჩი შვილი კი არა, ბრმა და ყრუ ადამიანია, რომელსაც ვერას გზით ვერ ასწავლი ანბანს. ხალხმა დაუჯერებელი ძალა იხმარა, რომ მთავრობისთვის „ა-ნი" ეთქმევინებინა და ათქმევინა კიდეც, მაგრამ ვაი იმ თქმას. ეს „ა-ნი" არც „ა-ნი" იყო, არც სხვა ხმოვანი ასო. გენიოსი მემუსიკე თუ გაარჩევდა მთავრობის მიერ ნათქვამ ხმოვანში ნამდვილ „ა-ნის" ნასახს, თორემ უბრალო მომაკვდავი ვერას დროს.

ეხლა ყველასთვის ცხადი უნდა იყვეს, რომ რუსეთის დღევანდელი მთავრობა უიმედოდ ბრმა და ყრუა. მისი ანბანის სწავლება—წყლის ნაყვაა. ტყუილად ჰგონიათ ზოგიერთ მასწავლებლებს, რომ შეუძლიანთ სასწაული ჩაიდინონ და ბრმას თვალი აუხილონ, ყრუს სმენა გაუხსნან. იქნება თვით მასწავლებლებიც ბრმები და ყრუები არიან! დეე, გაერთონ.

მაგრამ განა თვალხილულნი, ყურით მსმენელნი უნდა ემორჩილებოდნენ ბრმათა და ყრუთა ბრძანებას? არა და არა. ძირს ბრმა მთავრობა! ძირს ყრუ მთავრობა!

რევოლიუცია რუსეთში

ბევრს ჰგონია, რომ სევასტოპოლში რუსეთის რევოლიუციამ ერთხელ კიდევ წააგო საქმე. ასეც უნდა ეგონოს მას, ვინც ფლოტის კერძო ამბოხებას რევოლიუციონურ აჯანყების დასაწყისად სთვლის. მაგრამ ეს შეცდომაა. სევასტოპოლის ამბავი მხოლოდ დემონსტრაცია იყო, მაგრამ ძლიერი დემონსტრაცია და მუქარა მთავრობისადმი, მუქარა, რომელსაც შმიდტის დამარცხებამ ძალა და გავლენა სულაც არ დაუკარგა. პირიქით რუსეთი არასოდეს არ დაივიწყებს სევასტოპოლის გმირებს და მათ მეთაურს შმიდტს, რომელიც ტყვეობაშიც კი ძლიერია. „რუსკოე სლოვო"-ს ერთ კორესპონდენტს უნახავს „ოჩაკოვის" გმირი, ტრანსპორტ „დუნაი"-ზე დატყვევებული. შმიდტი თავის 17 წლის შვილით ამ გემზე გადაუყვანიათ. როგორც სჩანს, შმიდტი დაჭრილი ყოფილა: მან თურმე სცადა გადასვლა ტრანსპორტიდან, მაგრამ ვერ შესძლო და წაიქცა, რის შემდეგაც მატროსებს ხელში აუყვანიათ და ციმციმად გადაუყვანიათ ნაპირზე. მამა-შვილნი სანაპირო სიმაგრეზე ერთ-ერთ ნაწილში დაუმწყვდევიათ. მათ იცავენ ჟანდარმი და ორი სალდათი. ციხეში შმიდტისთვის სალდათის საჭმელი მიუტანიათ თურმე, მაგრამ ტყვეს პროტესტი გამოუცხადებია და მაშინ ნება დაურთავთ ოფიცრის საჭმელისა და პაპიროსების მიცემისა. ტყვე შმიდტი სულით არ ეცემა თურმე, კარგად იცის, რომ მისი დამარცხება არ არის რევოლიუციის დამარცხება, პირიქით მისი მაგალითი ბევრს ამხნევებს. ჯარი და მშრომელი ხალხი უფრო და უფრო უახლოვდება ერთმანეთს, ისინი ნელ-ნელა აერთებენ თავიანთ მოქმედებას. თუ ზოგგან ჯარი რეაქციას ემხრობა, ბევრგან აშკარად უჭერს რევოლიუციის მხარეს. წინანდელ მაგალითებს ორიოდეს დაუმატებთ.

ღელავს ვიტებსკის გარნიზონიც. მას კამენდანტისათვის წარუდგენია ეკონომიური მოთხოვნა და დაუმატებია შემდეგი: 1. დაუყოვნებლივ გაიმართოს ჯარის-კაცებისათვის უფასო ბიბლიოთეკები და სამკითხველოები; 2. სამხედრო სამსახურში მიღებული სალდათები თავ-თავის გუბერნიებში დარჩინონ ხოლმე; 3. შემცირდეს ერთ წლამდის სამხედრო სამსახურის ვადა, რაც საჭიროა ამისთვის, რომ არმია ხალხის დამცველი იყოს და არა ექსპლოატატორი „ჩვენ ვთხოულობთ—გამოუცხადებიათ სალდათებს:—რომ არ გაგვგზავნონ ხოლმე მუშების და გლეხების დასამშვიდებლად, რომელნიც თავიანთ ინტერესების დასაცველად იბრძვიან და ამგვარად ემსახურებიან ჭეშმარიტებას და სიმართლეს... ჩვენ ვთხოულობთ ნამდვილ თავისუფლებას, რაც შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ჩვენ ვთხოულობთ თავისუფლებას საზოგადოდ ხალხისათვის და კერძოდ ჩვენთვისაც".

ბალტიის ზღვის სანაპირო გუბერნიებში ჯარი რევოლიუციონერებს უმეგობრდება.

ამ გუბერნიებში, საზოგადოდ, ხალხი ძალიან მომზადებულია რევოლიუციისათვის. გლეხობაც ძალიან აღელვებულია. ამათ თურმე მღვდლები და მოხელეები გადააყენეს და ამოირჩიეს თავისი ადმინისტრაცია; ტყეები საზოგადო კუთვნილებად გამოაცხადეს. მემამულენი ძალზე დაფრთხნენ და გერმანიაში გარბიან.

რაც დრო გადის და მთავრობა სასტიკ ზომებსა ხმარობს, რევოლიუცია უფრო და უფრო იზრდება. რადგან რეპრესსიები პირველად ქალაქის მუშას ჰხვდება, ამიტომ ისინი სხვებზე ადრე აძლევენ ამ რეპრესსიებს პასუხს. ეს კლასსი ყველაზე უფრო გამოფხიზლებულია ბრძოლაში და სხვაზე უფრო უმკლავდება რეპრესსიებს: მუშათა დელეგატების საქმის თავმჯდომარის ხრუსტალიოვის დაპატიმრებას არავითარი დეორგანიზაცია არ გამოუწვევია. მუშებს მეორე დღესვე, ამოურჩევიათ თავმჯდომარე და მოუმართავთ გლეხებისათვის, რომ მათაც მხარი დაუჭირონ და მოემზადნენ უსამართლობების წინააღმდეგ მედგარ ბრძოლისათვის, რომელიც შორს არ არის. ამათ შეერთებია სტამბების მუშათა ბიუროც.

ხალხმა მიიღო მთავრობის ბრძოლაში გამოწვევა. ბრძოლა იწყება და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს.

—

27 ნოემბერს სხდომა ჰქონია პეტერბურგის მუშათა საბჭოს. საბჭოს თავმჯდომარის ხრუსტალევის დატუსაღების გამო. სხვათა შორის სხდომას დასწრებიან მატროსების ცენტრალურ წრისა, ჯარის ერთ ნაწილის და სრულიად რუსეთის საგლეხო კავშირის წარმომადგენელნი. მატროსების წარმომადგენელს განუცხადებია, რომ მატროსები მუშების მხარეზე არიან და თუ მთავრობამ ქუჩაში გამოიყვანა ისინი, თოფებს მუშებს გადასცემენო.

ახლად გაწვეულ ჯარის-კაცებს შორის დიდი პროპაგანდაა თურმე გამართული.

ხსენებულ ჯარის ნაწილის წარმომადგენელს უთქვამს: ერთი ჩემი სიტყვაა საკმარისი, რომ ამ ნაწილის ჯარის-კაცები აშკარად გადავიდნენ ხალხის მხარეზე და შეებრძოლონ მთავრობასო. სხდომაზე შემდეგი რეზოლიუცია იქნება მიღებული: „მეფის მთავრობამ დაატუსაღა საბჭოს თავმჯდომარე ხრუსტალიევი. საბჭო დროებით ახალ თავმჯდომარეს ირჩევს და განაგრძობს მზადებას შეიარაღებულ აჯანყებისათვის".

საგლეხო კავშირის წარმომადგენელმა ძმური სალამი გადასცა მუშათა დეპუტატების საბჭოს და თან წინადადება შემოიტანა, რომ საბჭომ საგლეხო კავშირთანა და სხვა ორგანიზაციებთან ერთად გამოსცეს მანიფესტი რუსეთის ხალხისადმი: უნდა მოვუწოდოთ ხალხს უარი სთქვას ყოველგვარ გადასახადებისა და ბეგარის გაღებაზე, გამოიტანოს შემნახველ კასებიდან თავიანთი ფული და უთუოდ ოქროს ფული მოსთხოვონ მთავრობას; გარდა ამისა მანიფესტში უნდა იყოს გამოცხადებული, რომ ხალხი არ მიიღებს ვალდებულებს პასუხი აგოს იმ სესხების გამო, რომელიც აუღიათ, რომელსაც 10 ნოემბრის შემდეგ აიღებს ეხლანდელი მთავრობაო.

აი ამ მანიფესტის გამოცხადებისათვის იყო, ალბად, რომ მთავრობას პეტერბურგში შვიდი გაზეთი დაუხურავს.

—

უკვე ვწერდით, რომ მანჯურიის ჯარში რაღაც ამბებიაო. აი ეხლა რას გადმოგვცემენ გაზეთები.

„სვობ. სლოვ." სწერს: საოცარი ამბავი მოვიდა ხარბინიდან. ერთ პოლკში მოულოდნელად ჯარი აჯანყდა. მალე აჯანყება სხვა პოლკებსაც მოედო. აჯანყების დაწყებისას სალდათებმა მოჰკლეს რამდენიმე გენერალი და შტაბ-აფიცერი. მოკლულთა გვარები პეტერბურგში ჯერ არ იციან.

„ნაშა ჟიზნ"-ს ატყობინებენ: მანჯურიაში რაღაც საშინელი ამბავი ხდება. ჯარში აღარავითარი დისციპლინა აღარ არის. ყოველ დღე ახალ-ახალი აჯანყებაა. ხარბინი მტვრად არის ნაქცევი. გენერალი ლინევიჩი კრიტიკულ მდგომარეობაშია.

პოდოლის გუბერნიაში, „ნოვ."-ს სიტყვით, ორი პოლკი აჯანყებულა. სალდათები სულ აღარ ემორჩილებიან უფროსებს და სწვავენ და ანადგურებენ საომარ მასალას.

მიწის მფლობელობა

III

ახალი მოძრაობა. ჰენრი ჯორჯი.

ახალი მოძრაობა იწყება ჰენ. ჯორჯის წიგნის გამოსვლის შემდეგ. ამ წიგნს სახელად ჰქვია „პროგრესი და სიღარიბე„ და დაიბეჭდა 1879 წელს. მე-70 წლებში დიდი გაფიცვები მოხდა ამერიკაში, რომელთაც ნამდვილი აჯანყების ხასიათი მიიღეს, და მათი ზეთავლენით დასწერა ჯორჯმა თავისი წიგნი (ჯორჯი ამერიკელია). ჯორჯის აზრით, სოციალურ უბედურების მიზეზი ის არის, რომ მემამულეები ითვისებენ ზედმეტს ნაყოფს, რომელსაც ჰქმნის წარმოების განვითარება, განათლება და ცივილიზაციის წინსვლა. რაც უნდა ძლიერ მატულობდეს საზოგადო სიმდიდრე, მუშები და მწარმოებლები ვერაფერს ვერ იგებენ, რადგან მათი შრომის და წარმოების ნაყოფი იმ საზოგადოებრივი წესწყობილების მიზეზით, რომელიც დამყარებულია მიწის კერძო საკუთრებაზე, მიაქვს იმ კლასს, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ იღებს სიმდიდრის შექმნაში. მიწის კერძო საკუთრების ბრალია, რომ სამუშაო ქირა მუდამ მცირეა. კაპიტალი კი არ სჩაგრავს მუშას, არამედ მიწის საკუთრება; კაპიტალისტის და მუშის ინტერესები ერთნაირია და მათ ორივეს სჩაგრავს საერთო მტერი—მემამულე.

შრომის და კაპიტალის ერთმანეთთან ბრძოლა გაუგებრობაა, კაპიტალისტი და მუშა ორივენი საჭირონი არიან ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ესენი ერთი-მეორეს უნდა ეხმარებოდნენ და არა მტრობდნენ. ამგვარად რაკი სიღარიბის მიზეზი მიწის კერძო საკუთრებაა, სიღარიბის მოსასპობად უნდა მოვსპოთ მიწის საკუთრება. მერე როგორ? სულ ადვილად, გვეუბნება ჯორჯი: საკმარისია წავართვათ მემამულეებს მიწის რენტა, რომელიც საზოგადოების შექმნილია და არა მათი, და რენტას წა-

ვართმევთ, თუ გავაუქმებთ სხვა ყოველივე გადასახადს და დავადებთ გადასახადს მხოლოდ მიწას იმდენს, რომ გადასახადი უდრიდეს რენტას. ასეთ ცვლილებით ყველანი მოგებულნი დარჩებიან, გარდა მსხვილი მემამულეებისა. მუშები მოიგებდნენ იმიტომ, რომ თავისუფლად შეიძლებდნენ მიწაზე მუშაობას, რადგან მემამულეები ხელს აიღებდენ მიწის საკუთრებაზე, რომელიც მას უკვე აღარაფერს მისცემდა; მუშები იაფად არ გაყიდდენ თავის მუშაობას. მუშები მოიგებდნენ იმითაც, რომ სხვადასხვა მოსახმარებელი საქონელი გაიაფდებოდა, რადგან განთავისუფლდებოდა გადასახადისა და ბაჟისაგან. მრეწველები, კაპიტალისტები მოიგებდნენ, რადგან მრეწველობაზე აღარ იქნებოდა დადებული გადასახადი და მრეწველობა სისწრაფით განვითარდებოდა. მოიგებდნენ წვრილი მემამულენიც, როგორც მომხმარებელნი სხვადასხვა საქონლისა, თუმცა მიწის რენტა წაერთმევოდათ მათ.

წიგნის გამოსვლისათანავე ჯორჯი შეუდგა აგიტაციას თავის აზრების გასავრცელებლად და მალე დიდი გავლენა მოიპოვა ამერიკაში. ნიუ-იორკში დაარსდა „მუშათა შეერთებული პარტია“, რომელმაც, მიიღო ჯორჯის პროგრამა, მაგრამ ამ პარტიიდან გამოვიდნენ სოციალისტები და შიგ დარჩნენ მარტო წვრილი ფერმები. ჯორჯი გაემგზავრა ინგლისსა და ირლანდიაში და აქაც დაიწყო თავის მოძღვრების ქადაგება. 1883 წ. დაარსდა „მიწის დასაბრუნებელი ლიგა“. ამგვარივე საზოგადოება შედგა შოტლანდიაში. ჯორჯის აზრები ჰპოულობდა ნიადაგს მარტო სოფლის მუშებს შორის, რადგან ქალაქის მუშები სამუდამოდ გამოეთხოვენ ძველ ჩარსტისტულ შეხედულობას: „დავუბრუნდეთ მიწასო“. მიწის დასაბრუნებელი დავა ასეთს საშუალებას ხმარობს თავის აზრების გასავრცელებლად: სოფლებში აგზავნის წითელს ფურგუნებს, რომელთაც თან მიაქვს წიგნაკები, განცხადებანი, პროკლამაციები. სოფელში მოსვლისთანავე ლიგას წევრი შეუდგება ადგილობრივი პირობების შესწავლას და მერე მართავს მიტინგს. ლიგა ძალიან მხნედ მუშაობს, მაგრამ ჯერჯერობით ინგლისის კანონმდებლობაზე არაფერი გავლენა არ მოუპოვებია. მისი ზედგავლენით ერთი კანონი გამოვიდა მარტო 1892 წ. შესახებ წვრილი მეურნეობისა. ამ კანონის ძალით საგრაფოს საბჭოს შეუძლია მიიღოს ზომები გლეხის წვრილი მფლობელობის და მეურნეობის მოსაწყობად. თუ ვისმე უნდა შეიძინოს მიწა, იხდის $^{1}/_{5}$ ფასისას, ხოლო $^{4}/_{5}$ სესხად აძლევს საბჭო, ამასთან $^{1}/_{4}$ ფასისა შეიძლება სამუდამო რენტად დაედვას მიწას, დანარჩენი $^{11}/_{20}$ კი უნდა გადახდილ იქნეს 50 წლის განმავლობაში. საბჭოს შეუძლია ჯერ გააუმჯობესოს ნაყიდი მიწა, ააგოს ზედ შენობები და მერე გადასცეს მყიდველს ან მოიჯარადრეს. საბჭოს არ შეუძლია ძალად გამოიყიდოს კერძო მამულები, ამიტომ 1892 წ. კანონს ძალიანი ცოტა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ადგილების გაყიდვა ძალიან შეზღუდულია ინგლისში.

უფრო მეტი ნაყოფი მოიტანა ჯორჯის ქადაგებამ ქალაქებში. წარსული საუკუნის მე-90 წლებში ლონდონის საგრაფოს საბჭომ აღიარა, რომ ყველაზე უფრო სასურველი გადასახადი არის გადასახადი მიწის კერძო საკუთრების რენტაზედ. მთავრობამ არ მისცა ამის განხორციელებას ნება, მაგრამ საბჭომ რამდენიმედ მაინც განახორციელა თავისი განზრახვა. ინგლისსა და შოტლანდიაში ქალაქთა წარმომადგენლებს შორის ძალიან ბევრია ჯორჯის მომხრე. გლაზგოს თვითმართველობაში კი ჯორჯის მომხრენი შეადგენენ უმრავლესობას. საზოგადოდ ინგლისში ბოლო დროს ძლიერ ვრცელდება მიწის საკუთრების მუნიციპალიზაციის აზრი, რომ ქალაქში ყველა მიწები ქალაქის თვითმართველობის ხელში გადავიდეს.

დაზარალებულთა სასარგებლოდ

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ ოფიონა ბენდუქიძის მიერ დიტრიხის ლუდის ქარხანაში შეგროვილი—56 მანეთი. შემომწირველთა სია.

გიგო მეცხვარიშვილი 2 მ., ვანო ქაბუკიანი 2 მ., სილიბისტრო ხუმპატაშვილი 2 მ., სოსიკო კირეულიშვილი 2 მ., დათიკო თულაშვილი 2 მ., ვასილი ქოხონელიძე 1., ეგნატე მეცხვარიშვილი 1 მ., იასონ ყაჯაროვი 1., ილია ფარეიშვილი 50 კ., სანდრო ხარატაშვილი 1 მ., სანდრო ნარიმანაშვილი 1 მ., რამან ნათალოვი 1 მ., მიხა კველიშვილი 50 კ., გიორგი ციხიშვილი 1 მ., ნიკა დოლენჯაშვილი 50 კ., ალექსი გზირიშვილი 1 მ., იაკობ იმედაშვილი 1 მ., კოლა ქურხული 1 მ., პეტრე მუჩიაშვილი 50 კ., ისააკ მთვრალაშვილი 1 მ., ოფონა ბენდუქიძე 25 მ., Анна Быкова 1მ., Герасимъ Жабинъ 50 კ., გაბუნია 2 მ., ანა ბენდუქიძე 2 მ., ლევან მოწონელიძე 1 მ., ვასო ბეგიაშვილი 1 მ.,

—

გურულთა სასარგებლოდ სადგურ ალექსანდროპოლის კონდუქტორებს და სხვა პირთა შორის ივანე დ. ჟორდანიას მიერ შეგროვილი 70 მან. სია შემომწირველთა:

ბახვა ოჩიგავა 4 მან., სამ-სამი მანეთი: ივანე ჟორდანია, მალაშხია, ბერძენიშვილი, ცომაია, ჯაოხაძე, ალშიბაია, ორ-ორი მანეთი: ჯანჯღავა, კეშელავა, ცქიტიშვილი, ვეშაპიძე, ესებუა, ამირადოვი, მინადორა თოფურიასი; თითო მანეთი: ტუსკაძე, მაიერ, ლაგაძე, ქარცივაძე, ქუთათელაძე, კაშაკაშვილი, ჩიხრაძე, გეორგაძე, ლაგიძე, ცერცვაძე, არევაძე, ქელივიძე, ნადირაიშვილი, ლაცაბიძე, ბაქრაძე, გაჩეჩილაძე, მელია, ძიძიგური, კვიკვინია, ქორქია, ელპიტე ჟორჟოლიანი, ვასილ ჟორჟოლიანი; ათ-ათი შაური: სატილარი, ზემბალ, ტარანოვი, დაციუსი, ხომანინი, ბალაშოვი, რევაზიშვილი, ჩიტიაშვილი, არუთინოვი, კატანოვი, კლიმენკო, მინკინი, მანდრიკინი, კსიონდა; ორ-ორი აბაზი: სვოსიანცი, შჩერდინი, ხაჩიანცი, ტეროგანესოვი; ექვს-ექვსი შაური: აბგაროვი, ციომენკო, ცლეკოსანიძე, სმაგლიუკოვი, კარაუშევი, ჟანდარმი შიაკოვი; შვიდი შაური: ბაბიჩი; ხუთ-ხუთი შაური: სუმცოვი, კალამიიცევი; თითო აბაზი: იონჩიკი, ვოლოხოვი; სამი შაური: კიდიავი; ორ-ორი შაური: სევტუნოვი, ბელოგორცევი.

—

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ მიიღოთ ჩვენ, დავით გორგიშვილის და ალექსანდრე ამირაღოვის, მიერ დუშეთის წვრილ ვაჭართა შორის შეკრებილი 42 მან. 90 კაპ., და გარდასცეთ ჯეროვან ადგილს ბნელ ძალებისაგან დაზარალებულ და აწიოკებულ, თავისუფლებისთვის თავგანწირულ გლეხთა ოჯახების სასარგებლოდ. სია შემომწირველთა:

დავით გორგიშვილი 2 მ., თითო მანეთი: ალექსანდრე ამირაღოვი, ალექსანდრე ბარათაშვილი, ივან მარტიროზოვი, იაგორ აბაზოვი, ალექსანდრე წამალოვი, პეტროს ოსიკიანცი, არტემ ალიხანოვი, ალექსანდრე ალიხანოვი, იასონ ახალშენიშვილი, წყალობ სტეფანოვი, ვანო არაქელოვი, ივან აზიზოვი, გრიგოლ მირაქოვი, თედო მერებაშვილი, მიხეილ ბარათაშვილი, ვანო ქაჩირაშვილი, თანდილ ელჩიევი, გრიგოლ ოსეფოვი, პაპა პაპაშვილი, ისავ ქონქაძე, თედო ზარიძე, სარაფიონ ამირაღოვი, ნიკოლაი ბარათაშვილი, გიორგი მირზიაშვილი, გიორგი ათოევი, მელიტონ მელაძე, ზაქარ დალაქოვი, ვანო ჩორგოლაძე, გრიგოლ მურადოვი, გრიგოლ ზაქაროვი, ამფაქო მელაძე, სტეფან ბარათაშვილი; ათ-ათი შაური: ლადო კოკოლიშვილი, შაქრო როინაშვილი, ალი ჯავხარი, მამად კაცუმოვი, იოსებ ხუროძე, ილარიონ შადაშვილი, კოსტა ხუროძე, შაქრო ასლამაზოვი, შაქრო სიანაიძე, გრიგოლ ასილოვი, ისაკ ოთირაშვილი, ვასო სტეფანოვი, მარტიშა გალუევი, მიხეილ მეგრელოვი, ესტატე ედზგვერაძე; ექვს-ექვსი შაური: ზაქარ პირმისაშვილი, მიხეილ ქაქალოვი; თითო აბაზი: შაქრო არუთინოვი, ყარამან ქუმსიშვილი, დქავარა, გრიგოლ რამაზოვი.

ახალი ამბავი

✦ **ახალი მინისტრ-პრეზიდენტი.** გუშინ მიღებულ მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთებში (29 და 30 ნოემბრისა) ბევრი საინტერესო ამბებია დაბეჭდილი. გაზეთები გვიან მივიღეთ და ყველა ამბავს ვერა ვბეჭდავთ. სხვათა შორის გადმოგვცემენ, რომ ცარსკოე სელოში დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმაა: ჰფიქრობდნენ დიქტატურის გამოცხადებას, მაგრამ ვერ გაბედეს, ამიტომ განზრახულია დიქტატურა არ გამოაცხადონ და ისე შემოიღონ სასტიკი ზომები. გრაფი ვიტტე უნდა გადადგეს. იმის ადგილას ნიშნავენ თავ. სვიატოპოლ-მირსკის, რომელიც უკვე დაუბარებიათ პეტერბურგში.

✦ **ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის განცხადება.** ხსენებული პროკურორი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „ქუთ. ოლ. პროკურორი იმ ამბების დაწვრილებით გამოსარკვევად, რომელიც ნოემბრის განმავლობაში მოხდა ქუთაისსა, ბათუმსა და ფოთში, აგრეთვე იმ მიზეზების გასაგებად, რომელმაც გამოიწვია ხსენებული ამბები, უმორჩილესად სთხოვს ქუთაისის, ფოთის და ბათუმის მცხოვრებთ მაცნობონ ყველა ის, რასაც რაიმე კავშირი აქვს ამ ამბებთან. ვინც-კი იცის რამე, შეუძლიან მოვიდეს ჩვენების ჩამოსართმევად და დაასახელოს ისინი, ვინც მოწმენი იყვნენ. პირადად განცხადება ჰეიძლება: ქუთაისში, ნაშუადღევის 4 საათზე, ქუთ. ოლ. სასამ. პროკურორის კამერაში; ბათუმში—პროკურორის ამხანაგთან რეცკისთან, იმის ბინაზე, და ფოთში—პროკურორის ამხანაგთან ნაზაროვთან“.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კრება.** 5 დეკემბერს მოხდა ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კრება. კრებამ გაიცნო მთავრობის განკარგულება მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მოხელეთა კრებამ ეჭვის თვალით შეხედა ამ განკარგულებას და დაადგინა, განაგრძოს გაფიცვა იმ დრომდე, ვიდრე ცენტრალურ ბიუროსაგან არ მოუვა მოწერილება. კამათის დროს ორატორებმა გაამხნევეს მოხელენი.

✦ **თელავის თავად-აზნაურთა დადგენილება.** როგორც ვწერდით, ამას წინად მოხდა თელავის თავად-აზნაურთა კრება. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: „კრებამ მოისმინა რა გურულების აოხრება და ამოხოცვა მთავრობის ჯარებისაგან, დაადგინა: თელავ-თიანეთის მაზრაში გამართოს ხელის მოწერა მათ სასარგებლოდ და შეკრებილ შემოწირულებას მიუმატოს იმ ფულის სარგებელი, რომელიც თავ.-აზნაურობამ სამეურნეო თანხიდან ასესხა კახეთის საზოგადოებას, რაც 300 მ. მეტს შეადგენს და გადასცეს იმ ფონდის გასაძლიერებლად, რომელიც ეხლახან დაარსდა ტფილისში განმანთავისუფლებელ მოძრაობაში დაზარალებულთათვის“.

✦ **დიდი თოვლი.** გუშინ, 6 დეკემბერს, ქ. ტფილისსა და გარეშემო სოფლებში დიდი თოვლი მოვიდა. ბევრგან სატელეგრაფო მავთულები ჩამოგლიჯა და დაძველებული ბოძებიც წააქცია. თოვლმა გააფუჭა აგრეთვე ტრამვაის მავთულები. ამის გამო მთელს ქალაქში გუშინ შეჩერებული იყო ვაგონების მიმოსვლა.

✦ **ბორჩალოს ქარხნის პატრონთა კრება.** 5 ნოემბერს საღამოთი სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდა იმათი კრება, ვისაც ქარხნები აქვთ ბორჩალოში. გამოირკვა, რომ თათრებს დიდძალი სომხის ქარხნები გაუნადგურებიათ. კრების წევრთ განიზრახეს სამოქალაქო წესით საჩივარი აღსძრან ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა მარშლის ბ-ნ ედიგაროვის წინააღმდეგ.

✦ **სპარსელების გახიზნება.** მოვაჭრე სპარსეთის ქვეშევრდომთა უმრავლესობამ ტფილისში დაყიდა სავაჭრო დაწესებულებანი და სამშობლოში გაემგზავრა. ეს მოვაჭრენი სომეხ-თათართა შეტაკებამ შეაშინა.

✦ **მაზრის უფროსის უკვალოდ დაკარგვა.** როგორც „ივერია“ გადმოგვცემს, ეს ორი კვირაა თურმე, რაც უკვალოდ დაიკარგა გორის მაზრიდან თიანეთისაში მაზრის უფროსად გამწესებული, მთელ გორის მაზრაში თავის სისასტიკით ცნობილი გოგოხია. გოგოხია გორიდან თიანეთს წასულა და გზაში დაკარგულა. ეხლა პოლიცია დაეძებს, მაგრამ ვერსად უპოვნია.

✦ **„კავკაზ“-ის ახალი რედაქცია.** იანვრიდან გაზეთი „კავკაზ“-ი ცნობილ ვექილის ოპოჩინინის ხელში გადავა. გაზეთი, როგორც ამბობენ, კონსტიტუციონალისტ-დემოკრატთა პროგრამით გამოვა.

✦ **ხულიგანი აფიცრის ტანისამოსში.** 3 დეკემბერს ღამე ქალაქის მესამე უბანში თავდამცველ რაზმს შეუპყრია ვიღაც ხულიგანი აფიცრის ტანისამოსში. ტანისამოსი გამომდგარა კაპიტნის ბორზენკოსი, რომელსაც უთქვამს, ჩემი მუნდირი ორის საათით ვათხოვე ხულიგანსაო.

✦ **მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენის დაკეტვა.** ახალშენთა საზოგადოებას აზრადა აქვს დაკეტოს ზემო-ავჭალის ახალშენი მცირე წლოვან დამნაშავეთა.

✦ პოლიციის მე-6 ნაწილის მცხოვრებთ დიდი ამაგი დასდო ექიმმა ქალმა ქ-ნ შჩერბანინისამ, რომელმაც ასზე მეტს დაჭრილს აღმოუჩინა შემწეობა, შეუხვია ჭრილობანი და სწამლობდა. ქალაქის სხვა ექიმები ამ დროს არსად სჩანდნენ.

✦ როგორც გორის მაზრიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში სოფელს სასირეთში იქაურ მემამულეებს თავად შარვაშიძეების და ანნა დიასამიძის სახლს დასცემიან ვიღაცეები წითელის რაზმის სახელით და გაუტანიათ ძველებური იარაღი. მემამულენი შინ არა ყოფილან. ამბობენ, ხალხს შეუპყრია ახალ-ქალაქში ოთხი კაცი, რომელთათვის იარაღი წაურთმევია.

პრესსა

გუშინ გამოვიდა პირველი ნომერი ახალის ქართულის გაზეთისა „სხივი“. კავკასიის ს. დ. მუშათა ორგანიზაციების ბიურო (მეუმცირესეთა ფრაქცია) აცხადებს, ეს გაზეთი პარტიის ორგანოა და ლეგალურად გამოვა ნაცვლად არა ლეგალურ „სოციალ-დემოკრატისაო“. ეს განცხადება სრულიად საკმარისია ჩვენი მკითხველებისთვის იმ სოციალ-პოლიტიკურ მიმართულების წარმოსადგენად, რომელსაც ახალი გაზეთი ადგება. როგორც ვიცით, [illegible] ქალაქების ზოგიერთი სოციალდემოკრატიული გაზეთები სწორედ იმ საკითხების შესახებ, რომელნიც სოციალდემოკრატიულ პარტიის მინიმუმ პროგრამას სოციალისტ-რევოლიუციონერთა მინიმუმ-პროგრამისაგან განასხვავებდა, სახელდობრ აგრარულ და ფედერაციის საკითხის შესახებ ეხლა სხვას ამბობენ, ვიდრე რამდენიმე თვის წინ, და პარტიის ოფიციალურ პროგრამას უკვე თვალსაჩინოდ გადასცდნენ. სამდღეო გაზეთი „სხივი“, რამდენადაც პირველი ნომრიდან სჩანს, სასტიკად იცავს ოფიციალურ პროგრამას. ფედერალისტები ახალმა გაზეთმა უკვე მუშათა პარტიის მტრად გამოაცხადა, ისეთს საზიზღარ მტრად, რომელიც სოციალიზმის ქერქში ეხვევა და თავის მტრებსაც-კი უკავშირდება, ოღონდ-კი მუშათა პარტია გაანადგუროსო. „სხივის“ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ:

> სულ სხვაა ჩვენში. აქ სოციალდემოკრატია რუსეთისაზე უფრო ძლიერია და აი, ბურჟუაზიული პარტიები, დამფრთხალი მისი გაძლიერებით, ახალ ხერხს მიმართვენ—პროლეტარიატის მეგობრად გამოდიან, ხელში წითელ დროშას იჭერენ, სოციალიზმს ებღაუჭებიან და ამ საფანელით მუშათა კლასს ბურჟუაზიულ იდეებს აწვდიან. ამ ხერხით მუშათა პარტიას განადგურებას უქადიან. ამ მიზნით ბურჟუაზიული პარტიები ერთმანეთ შორის შუღლს ივიწყებენ და ჩვენს პარტიაზე საერთო იერიში მოაქვთ. წარმოიდგინეთ, ისეთი დაუძინებელი მტრები, როგორც ქართველი და სომეხი ნაციონალისტები ჩვენს წინააღმდეგ ერთმანეთს ურიგდებიან და ასე ქართველი ფედერალისტი და სომეხი დროშაკისტი ხელი-ხელ ჩაკიდებული სოციალდემოკრატიას თავზე ესხმიან.

სხივთან პოლემიკა ჩვენ არ გვეჩქარება, რადგან იმედი გვაქვს, მალე უფრო მედგრად გამოილაშქრებს ჩვენ წინააღმდეგ და ცალიერს სიტყვებთან ერთად ცოტა-რამ საბუთის მაგვარს მოსაზრებას მაინც წამოაყენებს, და მაშინ გავცემთ პასუხს. ეხლა კი ჩვენი მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ, „სხივის“ აზრს, ვითომც რუსეთის ეხლანდელი რევოლიუცია კაი ხანია გათავდებოდა, სოციალდემოკრატია რომ არ ერეკებოდეს ხალხს წინ:

> —სულ ბოლოს, ამათ ზურგს უკან დგას რევოლიუციური პროლეტარიატი, სოციალდემოკრატია, და ხმალ-ამოწვდილი მათ წინ, რევოლიუციისკენ მიერეკება. ის მედგრათ მიექანება წინ, ძალაუნებურათ ეხეთქება სხვა პარტიებს და მათ აიძულებს არ გაჩერდეს. ამიტომ თვითეული ამათგანი პროლეტარიატს მოკრძალებით უცქერის, თითქოს მისგან ელის თავის მოქმედების დროს ლოცვა-კურთხევას. მათ ზურგს უკან სოციალდემოკრატია რომ არ იდგეს, კაი ხანია რევოლიუცია გათავდებოდა: „სოც.-რევოლიუციონერები“ გაილესებოდნენ დემოკრატებში, დემოკრატები ლიბერალებში. ხოლო ლიბერალები ვიტტეს წინ დაიჩოქებდნენ, გვიპატრონეთო. ეს იქნებოდა კუდ მოჭრილი რევოლიუცია, რაქციონური კონსტიტუცია.

გაზეთის „სხივის“ ფიზიონომია და ხასიათი საკმაოდ ცხადია; ცხადია აგრეთვე, რომ ჩვენ ხშირად მოგვიხდება „სხივთან“ კამათი, მაგრამ იდეიური მოწინააღმდეგობა ჩვენ ხელს არ გვიშლის სიამოვნებით მივეგებოთ ახალს ქართულს, მით უმეტეს რომ ამ გაზეთის ფურცლებზე ისეთ მწერლების ნაწერებსაც შევხვდებით, რომელნიც ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის ჰახრაკებისა გამო იძულებულნი იყვნენ ან ჩუმად ყოფილიყვნენ, ან მხოლოდ არა ლეგალურ გამოცემებში ემუშავათ.

ფელეტონი

მამა ლაშქარს იყო,
შვილი ამბავს უამბობდაო.

იყო დრო, ინდოეთის ამბავს არ მოგახსენებთ,—როდესაც მხოლოდ ფეხ-აკრეფით სიარულის ნება გვქონდა, როდესაც თვალების ქუტა გვჭირდებოდა, რომ კისერში მუჯლუგუნის წაკვრა თავის დროზე აგვეცდინა, და თუ როდისმე ან სადმე მოგვივიდოდა სულელური სურვილი რაზედმე ლაპარაკისა, უსათუოდ ჩურჩულით, ჩახლეწილის ხმით და მშიშარა კურდღელივით მოუსვენარის ცქერით უნდა დაგვეკმაყოფილებინა ეს აკრძალული და მომაკვდინებელ ცოდვად გადაქცეული ნიჭი მეტყველ კაცისა. ბევრნი მისდევდნენ ამ გზას. სწამდათ და სხვის დაჯერებასაც სცდილობდნენ, რომ ის, რაც მთავრობისაგან აკრძალულია,—ან მავნე, გამრყვნელი და არა სასარგებლოა, ან ცოდვაა.

მთავრობა იცვლებოდა, „ყველა ბარონს თავისი ფანტაზია ჰქონდა“ და ჩვენი „მოწინავე პირნიც“ ამყოლს ჰყვებოდნენ, ჩამყოლს ჩაჰყვებოდნენ ხოლმე. იყო რყევა, დაუდგრომლობა ერთს პოზიციაზე, სხვის ფანდურზე ცუნცრუკი. მეფანდურეებს მთავრობა ხშირად სცვლიდა და ჩვენი მამებიც მხიარულად გაიძახოდნენ—ასე ჩემო მანასეო, ხან ასე და ხან ისეო.

ძლიან ცოტანი—ერთის ხელის თითები სამყოფი იყო მათ დასათვლელად—უკმაყოფილონი იყვნენ ამ გვარ გონივრულ ცხოვრებისა. დაუსტვენეები არ იყვნენ და სხვის ფეხის ხმას არ ჰყვებოდნენ. იმათ წილად ჰხვდათ ტანჯვა-ვაება. იტანჯებოდნენ იმით, რომ ბრწყინვალე შეხედულება ჰქონდათ ცხოვრებაზე, კაცის დანიშნულებასა და სამშობლოს სვე-ბედზე, მაგრამ თანამგრძნობთ კი ვერა ჰხედავდნენ. თვალნი მომავლისკენ ჰქონდათ მიპყრობილი,—მომავალი მათ უღიმოდა იმედების განხორციელებით, მაგრამ ამ ასპარეზზე რადგან ცოტას გაკეთება შეეძლოთ, სულის ამომხუთავ გარემოებაში უხდებოდათ მუშაობა. იტანჯებოდნენ თანამედროვე საზოგადოების უაზრო ცხოვრების გამოც, ებრძოდნენ თანამედროვეთა ქარაფშუტობას, სცდილობდნენ, ნაპერწკლის ტოლა შუქი შეეტანათ მათ ყოფა-ცხოვრებაში. ამ სურვილს, ამ საქმეს ალევდნენ თავიანთ ჯანსა და ღონეს, სწირავდნენ სიცოცხლეს, წარბშეუხრელად, სიხარულით.

ამ ტანჯულთ, ღვთიურ მადლით ცხებულთ ჩასახეს აზრი უკმაყოფილებისა იმის წინააღმდეგ, რაც ხდებოდა და კეთდებოდა ჩვენ წინაპართა გამოჭრილ რიკრიკაზე. სუსტი იყო ეს უკმაყოფილება და შეუმჩნეველი, როგორც სათავე მდინარისა, მაგრამ შემდეგში იზრდა, მისწვდა მომეტებულ კაცთა გულს და ჩასწვდა მათ სულის სიღრმეს. ბევრს მოეწონა, რაღაც სასიამოვნო მალიტინებელი ახალი გრძნობა გაეღვიძა, ახალი შეხედულება დაებადა ცხოვრებაზე, და აი, ეს პირველად ერთ ფეროვანი ქსელი გამრავალფეროვანდა, მოჰხიბლა მრავალი და გაიტაცა საბრძოლველად, სათავეში ვიწრო და ფრთხილი მდინარე ზვირთებიან, მჩქეფარედ გადაიქცა და ჩვენს დროში ჰლეკავს ყველას, ვინც წინ უდგება და იმის დენის შეჩერებას სცდილობს.

რა ვეთქმის ამ პატიოსან, თავგანწირულ მუშაკებზე? განა უმადურობის ღირსნი არიან ისინი იმიტომ, რომ დაიბადათ უკეთესი აზრი თანამედროვე ცხოვრებაზე და ამ ცხოვრების დანგრევა-შემუსვრა მოინდომეს? რომ არ არჩიეს ბრწყინვალე აზრის გულში ჩაკვლა მხოლოდ იმიტომ, რომ თანამედროვე ცხოვრება არ აძლევდა იარაღს და გულისნადებთა მსწრაფლ განხორციელების შეძლებას? არა და არა! ისინი უკვდავნი უნდა დარჩნენ ჩვენს ხსოვნაში. ისინი თავსა სწირავდნენ, იმდენად ღრმა რწმენა ჰქონდათ მომავალში სინათლის დამყარებისა. შთამომავალთ უტოვებდნენ მაგალითს გმირულის სიკვდილისას, სილაჩრეს, ყურმოჭრილყმობას აძულებდნენ, ბრძოლას გვიანდერძებდნენ და წმინდა მოვალეობად გვისახავდნენ.

ბრძოლა იმიტომაა ბრძოლა, რომ ერთი მხარე უნდა დამარცხდეს. ყველაფრის წინასწარ წარმოდგენა, ყველაფრის აწონ-დაწონა ყოვლად შეუძლებელია, ამისთვის კაცმა თავი არ უნდა იტეხოს. ის, რაც სასურველია, ის, რაც ხალხის წმიდა-წმიდათას შეადგენს, მსხვერპლს ითხოვს და არსად, არასდროს ამ მსხვერპლზე ხალხს უარი არ უთქვამს...

დიდ სამსახურად არ ჩაეთვლება კაცს ეტლით გასეირნება მთლად უშიშარ გზაზე, რომელსაც მიჰყავს იგი დანიშნულ მიზნისაკენ. რა გაბედულობაა იმ წყლის გატოპვა, რომელიც კოჭამდი გვაწვდება, რა გმირობაა უიარაღო ბავშვის გულის გაგმირა, რა გულის სიმტკიცეა ბნელ ოთახში შესვლა!..

ყველა ეს მოთქმევინა ჩვენში ახლად გამეფებულმა აზრებმა. ორჭოფობა, გაუბედაობა ეტყობა ჩვენს საზოგადოებას, ამაყურად მაღლა თავის აღება და ომახიანად მტრის შეტევა ვერ გაგვიბედნია. შიში, ეს მონური ნაშთი თითქოს ძვალრბილში გაგვჯდომოდეს გვესმის, რომ ეხლა კი კმარა ბრძოლა, კმარა სისხლი, შევუდგეთ ლეგალურ მუშაობასაო. კარგი და პატიოსანი, ვის არ იამება, იმ მამა ცხონებულს, კეთილი ცხოვრება. მაგრამ მაგონდება ერთი ანდაზა: ორი გლეხი ტყეში წავიდნენ. შეეფეთნენ დათვს. ერთი მათგანი ქვეშ ამოიდო დათვმა და დაუწყო ბუბნა, მეორე გავარდა განზე და შორიდან დაუწყო ამხანაგს ძახილი:

— კაცო, გაუშვი მა ოხერ დათვს ხელი, რას ებღლარძუნები.

— ეჰ,—მოესმა პასუხად,—მეკი გავუშვებ, მაგრამ ეს ოხერი არ მიშვებს.

როდესაც ჯარი უკანასკნელ სასროლ პოზიციიდან დაიძვრება და კიჟინით წინ წავა, ამ დროს იღლიტება ათასობით, ათი-ათასობით მებრძოლი, მაგრამ აი ახალნი შემოემატნენ და მტერს მიაწვდინეს ხიშტის წვერი, მტერი შედრკა, ვერ გაუძლო შეერთებულ შეტევის ძალას—ზურგი აჩვენა თავდამსხმელთ. რა გგონია, მკითხველო, მთლად გაიმარჯვეს მტრის პოზიციის ფერდობზე ასულთ მეომართ? შეუძლიანთ იარაღი დააყუდონ და ლხენა-შვებას მიეცნენ? შეუძლიანთ სთქვან, გამარჯვება ჩვენიაო? ყველა დამეთანხმება, რომ არა! ამ ფერდობის უკან შეიძლება სხვა ფერდობი იყოს, მერე გორაკი, კიდევ გორაკი და მთა. ყველა ეს ადგილები მოპირდაპირეს სახეში ექნება და ისარგებლებს კიდეც. მოწინავე პოზიციიდან უკუქცეულნი გაძლიერებენ თავიანთის მისვლით მეორე პოზიციას, აქედან გაქცეულნი მესამეს და ასე ბოლოს პოზიციამდე, რომელიც შეიძლება მეოცე იყოს.

ამიტომ სამხედრო მეცნიერება გვასწავლის—გაქცეულს მტერს გულ-მოდგინეთ სდიე, ნუ მისცემ დროს მოფიქრება-დაწყობისას, ფეხ და ფეხ მიჰყევ და შეიჭერ მეორე, მესამე და სხვა პოზიციებზე. ესროლე ტყვია, გაჰგმირე ხიშტით, სცემე კონდახით. ასეთ ვაი ვაგლახში გავლილი მტერი ან მთლად დაგნებდება ან დაგითმობს იმდენს პოზიციას, იმდენს ადგილს, რომ დიდხანს ველარას გაგიბედავს.

უკანასკნელი სასროლი პოზიცია მტრის ახლოს უნდა მდებარეობდეს. ამ პოზიციამდე მისვლა ჭირს თუ თავგანწირულნი მრავლობით შეიკრიფებიან პირის-პირ მტრისა, მაშინ გამარჯვებამდე მხოლოდ ერთი გაბედული ნაბიჯი-ღა იქნება.

ყოველი ქალაქი არის მტრის პოზიცია ხალხისთვის. და ამიტომაც დღეს საბრძოლველ მოედნად ხალხს ქალაქები გაუხდია. აქ არის მოწინააღმდეგეთა ბანაკები. გავსინჯოთ ქალაქების პოზიციები, გავითვალისწინოთ ამ პოზიციების ავი და კარგი სამხედრო მეცნიერების შეხედულობით და მხოლოდ მაშინ გავიგებთ—ეშმაკი მართლა იმდენად საშიშია თუ არა, რამდენადაც ზოგს წარმოუდგენია.

რას წარმოადგენს ქალაქი სამხედრო მოქმედებისთვის? პირველად—აუარებელ დეფილეს. დეფილეებად ჩაითვლება ქუჩები. დეფილე ჰქვიან ვიწრო გზას, ღელეს, ხევს რომელთაც აქეთ-იქით აღმართული აქვთ კედლები, კლდეები ან მთის გაუვალი კალთები. ასეთი ადგილები დიდად ხელს უწყობს მომგერიებელთ და სახიფათოა ზედამსხმელთათვის, და აი რატომ: მომგერიე-

მიტინგები

თელავში

ტფილისის საზიზღარი ამბები მეტად აღელვებს ხალხს. 29 ნოემბერს მთელ თელავში დაიკეტა დუქნები და ხალხი გამოვიდა ჯერ ქალაქის ბაღში, მაგრამ რაკი ბაღმა ვერ დაიტია, წავიდა ნადიკვარზედ. ხალხს წინ მიუძღოდა რამდენიმე წითელი დროშა. ნადიკვარზე რამდენსამე ათასი სულისაგან შემდგარს გამოელაპარაკნენ მოქმედ პარტიათა წარმომადგენელნი, რომელნიც უხსნიდნენ ხალხს მიზეზებს, რამაც გამოიწვია ტფილისში ძმათა-ჟლეტა. აქნომამდის ყველა დაჯერებული იყო, რომ ტფილისის მცხოვრებლები იმდენად ზევით სდგანან ყველა სხვა ქალაქებისა, სადაც ძმათა ჟლეტა დიდიხანია დაიწყო, —მცხოვრებლებზედ, რომ ვერავითარი მეცადინეობა ვერ ჩაადენინებს ტფილისელებს იმ საზიზღრობას, რომლითაც ისახელეს თავი ბაქომ, შუშამ, ერევანმა, განჯამ და სხვ. არავის არ ეგონა, რომ ტფილისში, სადაც ამდენი ძალაა შეკრებილი ყველა ეროვნების ინტელიგენციისა, სადაც ყველა ენაზე იბეჭდება აუარებელი გაზეთები, სადაც ჯარიც საკმარისად არის თავმოყრილი აუარებელ საომარ იარაღით და მასალით, სადაც სცხოვრობს მთელი კავკასიის გამგებელი, რომელსაც ხელთა აქვს ყველა უწყების უმაღლესი დაწესებულებანი, სადაც ყოველი ქუჩა, ყოველი უბანი შეერთებულია ტელეფონით, რომელიც ამისთანა დროს ყველას შეუძლიან გამოიყენოს, ვიმეორებ, ყველა დაჯერებული იყო, რომ ტფილისში არ მოხდებოდა მეზობელ ხალხთა შორის, არა თუ სისხლის ღვრა, არამედ სიტყვით შეურაცხებაც იქ ნიადაგს ვერ იპოვიდა. ყველა ამის მიუხედავად ყოველ დღე ახალ-ახალი ამბავი მოდიოდა და გაზეთებშიაც ამასვე ვკითხულობდით, რასაც მგზავრები ამბობდნენ. გამოდგა, რომ ტფილისიც ჩაერია იმავე საზიზღარ საქმეში, რომელსაც უკიჟინებდით სხვა ქალაქების მცხოვრებთ, ტფილისის ქუჩებიც შეიღება უბრალო და უდანაშაულო ადამიანების სისხლით.

მიტინგზე შეკრებილმა ხალხმა ერთხმად დაჰგმო ყოველი პირი, რომელსაც მონაწილეობა აქვს ამ სისხლის ღვრაში, დაჰგმო თვით სისხლის ღვრა და მიიღო რეზოლიუცია: „გავითვალისწინეთ რა მოღალატური პოლიტიკა შესახებ ერთის ერის მეორეზედ მისევისა, რომლითაც უნდათ შეაჩერონ დღევანდელი გამანთავისუფლებელი მოძრაობა, ჩვენ, შეერთებულნი სახალხო მიტინგზე, ვუცხადებთ ზიზღს იმ პირთ, რომელნიც ხელს უწყობენ ამნაირ პოლიტიკას და რომ მათმა მოქმედების ნაყოფმა თავი არ იჩინოს მშვიდობიან კახეთშიაც, დავადგინეთ შევიარაღდეთ თავის დასაცველად. ამისათვის არჩეულ იქმნა შვიდი კაცი.

ნადიკვრელი.

გორში

4 დეკემბერს გორის ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში შეიკრიბა გორის ინტელიგენცია, რათა გასცნობოდა სხვა და სხვა პარტიების პროგრამმას. ხალხმა ბლომად მოიყარა თავი. თავჯდომარედ ერთხმად აირჩიეს გორის ქალაქის თავი, გრი[illegible]ორაშვილი. ილაპარაკა რამდენმამე წარმომადგენელმა სოციალდემოკრატიის პარტიისა და ორმა სოციალ-ფედერალისტმა. ორთმა სოციალდემოკრატმა სავსებით გააცნო თავ-მოყრილ საზოგადოებას პარტიის პროგრამმა. შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტმა აღნიშნა, რომ, რადგან ორისა პარტიის პროგრამმებში ბევრი საერთო მუხლია, შევეხოთ მხოლოდ პროგრამმების იმ ნაწილს, რომელნიც განსხვავდებიან და ახასიათებენ პარტიის მიმართულებასაო. ამის შემდეგ შეეხნენ პროგრამმების აგრარულ და პოლიტიკურ ნაწილს.

აგრარულ საკითხის შესახებ გამოირკვა, რომ სოციალდემოკრატების „ჩამონაჭრები“ სრულებით არ შეეფერებიან გლეხების დღევანდელ მდგომარეობას და რომ თვითონ გლეხები ახორციელებენ მიწის სოციალიზაციას. როდესაც პროგრამმების პოლიტიკურ ნაწილს შეეხნენ, ეტყობოდათ, რომ სოციალდემოკრატები ერიდებოდნენ ამ საგანზე კამათს. ბოლოს მწვავე ხასიათი მიიღო. სოციალდემოკრატიის წარმომადგენელმა სოციალისტ-ფედერალისტების პარტია დაახასიათა, როგორც ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი. სოციალ-ფედერალისტმა პასუხად მიუგო, რომ კაცი გონებრივათ ან მართლა ბრმა უნდა იყოს და ან განგებ იბრმავებდეს თავს, როცა სოციალისტ-ფედერალის პროგრამმის წაკითხვის შემდეგ ამტკიცებს მაგ პარტიის ვითომდა ბურჟუაზიულ მიმართულებას. ბოლოს, როგორცა ვთქვით, კრებამ მწვავე ხასიათი მიიღო ასტყდა აურ-ზაური და ხალხი დაიშალა.

დამსწრე

სოფ. საგარეჯოში (გარეთ კახეთი)

სომეხ-თათართა ჟლეტამ გარეთ-კახეთი მეტად დააფიქრა, რადგან მომიჯნავედ იორ-მუღანლოს რამდენიმე თათრის სოფელი აქვს. დეკემბის 4-ს სოფელ საგარეჯოში მოიყარა თავი ქართველობამ, სომხობამ და თათრობამ. ილაპარაკა რამდენმამე ორატორმა, აუხსნა ხალხს ერთობის საჭიროება და ერთმანეთში სისხლის ღვრის უსარგებლობა. თათრები შეჰპირდნენ საზღვრების გამაგრებას და თუ სხვა მხრიდან თათრები მოვიდნენ სამტროდ, ქართველობასთან და სომხებთან ერთად მოქმედებას; ამასთანვე აღუთქვეს შუამდგომლობა ყარაიისა და სხვა თათრებთან მშვიდობის ჩამოსაგდებლად და საერთო საქმეში დახმარება. ამ ყრილობას დაესწრნენ აგრეთვე მღვდლები და მოლლა, რომელთაც ხალხი დააფიცეს სიტყვის შესრულებაზე. ასეთისავე კრების გამართვა განიზრახეს ექვს დეკემბრისათვის ვაზიანში, სადაც უნდა მოვიდნენ თაქლის თათრები და ლილო-მარტყოფის მცხოვრებნი.

დეპეშა

პეტერბურგი. მთავრობის განცხადება. რადგან ზოგიერთ გაზეთებში 2 დეკემბერს დაიბეჭდა „მანიფესტის“ სათაურით მოწოდება, რომელსაც ხელს აწერენ მუშათა დეპუტატების საბჭო, გლეხთა კავშირის მთავარი კომიტეტი, რუსეთის სოც.-დემოკრატ. პარტიის ცენტრ. კომიტეტი, რუსეთის სოც.-რევოლიუც. პარტიის კომიტეტი და პოლონეთის სოც. პარტია და რომელიც შეიცავს აჯანყებისათვის გამოწვევას, პეტერბ. სამოსამართლო პალატის პროკურორმა ამის შესახებ განცხადება წარუდგინა სამოსამართლო პალატას თანახმად 24 ნოემბერს გამოცხადებულის უმაღლესად დამტკიცებულის დროებით კანონის მე-71 სტ. მე-14 პუნქტისა. სამოსამართლო პალატამ იმავე დღეს დაადგინა: დაპატიმრებულ იქმნენ 2 დეკემბერს გამოსული ნომრები და შეჩერებულ იქმნან სასამართლოს გადაწყვეტამდე შემდეგი გაზეთები: „სინ. ოტეჩ.“, „ნოვ. ჟიზნ.“-ი, „სვობოდნ. ნაროდ“-ი, „ნაჩალო“, „რუსსკ. სვობ. სლოვო“, „რუსსკ. გაზ.“-ა. დადგენილება აცნობებს აღსასრულებლად ბეჭდვითი სიტყვის მთავარ მმართველობას.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა გზათა სამინისტროს განზრახვა, გადასდოს 16,100,000 მანეთი რკინის გზათა მსახურების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

გამოცხადდა დროებითი წესები იმ სასჯელისა, რომელსაც მიუსჯავენ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მსახურთ, როცა ისინი ურთიერთ შეთანხმებით გაიფიცებიან.

ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ მმართველობის განცხადებიდან სჩანს, რომ მომავალ წლის დასაწყისიდან ისპობა მცირე ჯამაგირი ფოსტა-ტელ. მოხელეთა მე-6 რიგისა; ამ რიგის მსახურთ მიეცემათ სატახტო ქალაქებსა და შიდა გუბერნიების დიდ ქალაქებში არა ნაკლებ 466 მანეთისა წელიწაში, სხვა ადგილას არა ნაკლებ 432 მანეთისა (360 მან. ჯამაგირი და 72–108 მან. ბინის დასაქირავებელი). ამავე დროს სოფლისა და დაბის ფოსტა-ტელეგ. განყოფილებათა უფროსებსაც ემატებათ ჯამაგირი 450 მანეთამდე და ბინაც მიეცემათ. გარდა ამისა, 1906 წლიდან ფ.-ტ. დაწესებულებათა ბიუჯეტს წლიურად მიემატება 50 პროცენტი, სახელდობრ ბიუჯეტი გადიდებულ იქმნება 835.000 მანეთიდან 1.350,000 მანეთამდე, რაც შეძლებას მისცემს უწყებას გაამრავლოს როგორც მოხელეები, ისე ფ.-ტ. დაწესებულებანი და ამითი შეღავათი მისცეს ფ.-ტ. მუშაკთ; აგრეთვე შეაძლებინებს გაამრავლოს იმ მოხელეთა რიცხვიც, რომელნიც დიდდა საშუალო ჯამაგირებში არიან. შემდეგ, სახელმწიფო საბჭომ ამ დღეებში ნება დართო გადიდვას 500 ათასი მან. იმ მოხელეთა დასაჯილდოვებლად, რომელთ დიდი შრომა დაეკისრათ რკინის გზების გაფიცვის დროს ოქტომბერში, როცა დეპეშების გზავნა გაძლიერდა და თან ყოველგვარი სანოვაგე გაძვირდა. გარდა მოხსენებულისა, ფ.-ტ. მოხელეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ახლო მომავალში შემუშავებულ იქნება კანონ-პროექტი ფ.-ტ. დაწესებულებათა ახალ შტატებისა და აგრეთვე ყოველ ხუთის წლის სამსახურისათვის ჯამაგირის მომატების წესების შესახებ.

პეტერბურგი, 3 დეკემბერი. ცირკულიარული დეპეშა სახაზინო და კერძო რკინის გზების უფროსებს: „დღეს, 3 დეკემბერს, გამოცხადდა შემდეგი უმაღლესი ბრძანება უმართ. სენატს: აკრძალულია თვისნებითი, წინასწარ შეთანხმების შემდეგ, აჰკვეთა მუშაობისა იმ დაწესებულებებში, რომელთაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ ბრძანების მეექვსე მუხლის თანახმად აკრძალულია, სისხლის სამართლის კანონთა ძალით, მონაწილეობა ისეთ საზოგადოებებში, რომელთა მოღვაწეობას საგნად აქვს რკინის გზების მსახურთა და მუშათა წაქეზება მუშაობის აკვეთისათვის. უკანასკნელ დროს, როგორც სჩანს სხვა და სხვა ცნობებიდან, ზოგიერთ გზებზე შესდგა ორგანიზაციები, რომელთაც საგნად აქვთ გაფიცვების მოხდენა თავიანთ მოთხოვნათა აღსრულების დასაჩქარებლად. მინისტრთა საბჭომ განიხილა ეს საქმე და საჭიროდ სცნო აღნიშნოს შემდეგი: პირველი,—რკინის გზების უფროსებმა არ უნდა მიიღონ არავითარი განცხადება იმ მსახურთაგან, რომელნიც ხსენებულ საზოგადოებათ ეკუთვნიან; მეორე,—გამოეცხადოს ყველა რკინის გზების მსახურთ, რომ აკრძალულია ასეთს უკანონო ორგანიზაციებში მონაწილეობის მიღება; მესამე,—არ უნდა იქნას აღსრულებული არც ერთი განკარგულება კერძო პირისა ან რომლისამე ორგანიზაციისა რკინის გზების მოქმედების შეჩერების შესახებ; აგრეთვე არ უნდა იქმნან მიღებული დეპეშები რკინის გზების ტელეგრაფით გასაგზავნად, რომელთაც აგზავნიან ხსენებული საზოგადოებანი ან მათი წევრები. გატყობინებთ ამას და გთხოვთ აუხსნათ მსახურთ ამ კანონის მნიშვნელობა, რომელსაც საგნად აქვს სახელმწიფოსა, საზოგადოების და თვით მსახურთა დაცვა იმ მძიმე შედეგისაგან, რომელიც რკინის გზების გაფიცვას მოჰყვება ხოლმე“.

გზათა მინისტრი ნემეშაევი.

საზღვარ-გარედ

გერმანია და რუსეთის მთავრობა

სანამ გერმანია გაერთიანდებოდა და ძლიერი იმპერია შეიქნებოდა, გერმანიის მთავრები და მეფენი რუსეთის იმპერატორის ხელქვეითები იყვნენ. ვენის კონგრესიდან (1815) დაწყებული ყირიმის ომამდე (1853—56), როცა ბატონყმური რუსეთი სამარცხვინოდ დამარცხდა, პეტერბურგის პოლიტიკა იყო გამეფებული შუა ევროპაში; რეაქცია მძვინვარებდა, ხალხს ტყავი ძვრებოდა და სული ეხუთებოდა საპატიმროდ გადაქცეულ სამთავროებსა და სამეფოებში. რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა სავსებით დაიმსახურა სახელი „ევროპის ჟანდარმერიის უფროსისა.“

გერმანიის გაძლიერებისათანავე რუსეთის გავლენაც შესამჩნევად შესუსტდა: ახალი იმპერია იმდენად ძლიერი იყო, რომ რუსეთის იმპერატორის მფარველობას აღარ საჭიროებდა და გარდა ამისა საცილობელი საგანიც საკმაო ჰქონდა ორ მეზობელ სახელმწიფოს. გერმანია-რუსეთის დაშორებას მოჰყვა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოვება და ამან კიდევ უფრო შორი-შორს დააყენა ძველი მოკავშირენი.

მიუხედავათ ამისა გერმანიის საიმპერატორო სახლსა და რომანოვებს შორის ძველი ნათესავური და მეგობრული განწყობილება არ შეცვლილა. მართალია, ალექსანდრე III დაუახლოვდა საფრანგეთის რესპუბლიკას, მაგრამ გული კიდევ მეფეებისკენ უწევდა. ეგევე ითქმის ჰოჰენცოლერნებზედაც. გერმანიის იმპერია უფლებრივი სახელმწიფოა და პრუსიის მეფე და გერმანიის იმპერატორი თითქო შეურიგდა კიდეც ასეთ გარემოებას, მაგრამ გულში კი თავის მეზობელ და ნათესავ რომანოვის თვითმპყრობელობა შურდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ასე შესანიშნავად გაძლიერდა მუშათა პარტია. რუსეთი მეფეთა უძლიერეს ბურჯად და თავშესაფარად ითვლებოდა და მართლაც ეგეთი იყო. ამიტომაც, თუ ევროპის შეგნებული ხალხი რუსეთის თვითმპყრობელობის შეურიგებელი მტერი იყო და ამ თვითმპყრობელობის დასამხობად ომის გამოცხადებასაც-კი თხოულობდა, მეფენი და მათი ერთგული მსახურნი, განსაკუთრებით პრუსიაში, რუსეთის მთავრობის მხარეზე იყვნენ.

დღესაც ამას ვხედავთ.

გერმანიის ხალხი მხურვალედ თანაუგრძნობს რუსეთის რევოლიუციას; არა თუ თანაუგრძნობს: ამ რევოლიუციით გამხნევებული გაორკეცებულის ძალღონით შეებრძოლა მთავრობას, რომ მოსპოს ძველ წესწყობილების ნაშთები და გერმანიის იმპერია და მისი შემადგენელი სამთავროები გახდნენ ნამდვილ დემოკრატიულ წესწყობილებანი სახელმწიფოები. ესეიგი ყველგან საყოველთაო საარჩევნო უფლება იქნეს შემოღებული და მინისტრები ხალხის წარმომადგენლების წინაშე იყვნენ პასუხის მგებელნი და არა მეფეებისა და მთავრების წინაშე, როგორც დღეს არის.

დემოკრატიულ მოძრაობის განხორციელებით შეშინებული გერმანიის მთავრობა, რასაკვირველია, სულით და გულით წინააღმდეგია რუსეთის რევოლიუციისა და მაშასადამე მომხრე რუსეთის მთავრობისა, და რაკი აშკარად ვერ გაუბედავს მხარი მისცეს რუსეთის ხალხის მტერ მთავრობას, ჩუმ-ჩუმად და საიდუმლოდ უწევს სამსახურს. ასეთი სამსახური გაუწია გერმანიამ რუსეთს, სხვათა შორის, პოლონეთის საქმეში.

მართალია, გერმანიის კანცლერმა განაცხადა რეიხსტაგში—ტყუილია, ვითომ გერმანიის მთავრობის მიზეზით იყო შემოღებული სამხედრო წესი რუსეთის პოლონეთში, ჩვენ არ ვერევით მეზობელ სახელმწიფოს შინაურ საქმეებშიო და სხვა, მაგრამ სხვაფრივ ლაპარაკი არც კი შეეძლო გრაფ ბიულოვს: იმას ხომ ვერ იტყოდა გერმანიის პოლიტიკის ხელმძღვანელი, რომ ჩვენის თხოვნით შემოიღო სამხედრო წესი რუსეთის მთავრობამ პოლონეთშიო. ისიც მართალია, რომ თვით რუსეთის მთავრობასაც დიდათ მოწადინებული იყო რევოლიუციონურ მოძრაობით მოცული პოლონეთი დაესაჯა. მაგრამ ძალა კი შესწევდა ამისთვის?

საქმეც ის არის, რომ არ შესწევდა. პოლონეთის ხალხს რომ მარტო რუსეთის მთავრობის ძალებთან ჰქონდეს საქმე, მისი გამარჯვება ბრძოლის ველზე უეჭველი იქნებოდა, ისე შეგნებული და მომზადებულია ეს ხალხი და იმდენად დაუძლურებულია მთავრობა. რუსეთის მთავრობა იძულებული გახდებოდა პოლონეთის გმირ ხალხისათვის დაეთმო ავტონომია. მაგრამ ეს არ შედიოდა გერმანიის მთავრობის ანგარიშში: თავისუფალი პოლონეთი ყელზე დაადგებოდა ჰოჰენცოლერნებს, რადგან ჰოჰენცოლერნებსაც ბევრი პოლონელი ჰყავს ქვეშევრდომად და რუსეთის მთავრობასავით მტარვალურად ეპყრობა მათ. ამიტომაც მოხდა, რომ როცა რუსეთის პოლონეთი ზღვასავით აღელდა და რუსის მთავრობამ თვალი უქნია გერმანიას, რუსეთის საზღვარზე მთელი ტყე გაჩნდა პრუსიელ ჯარისკაცების ხიშტებისა, და რომ პოლონეთის მოძრაობის ხელმძღვანელთ დიდი წინდახედულობა არ გამოეჩინათ, ეს ჯარის კაცები საზღვარს გადმოლახავდნენ და ხალხს მუსრს გაავლებდნენ. ასე ტრაგიკულია დღეს პოლონეთის მდგომარეობა და ასეთივე დარჩება, სანამ ბოლო არ მოეღება პრუსიის მეფისა და მის ერთგულ მსახურთა ძალსა და გავლენას გერმანიის სახელმწიფო საქმეებზე.

რაჭა-ლეჩხუმი

(წერილი ქუთაისიდან)

მეეტლეების აუტანელი მდგომარეობა ლეჩხუმის გზაზე და მათი გაფიცვა.—გლეხთა მოძრაობა ლეჩხუმში და თავ. გელოვანები.—ბოიკოტი. —ყაზახების თავ-გასულობა ონსა და ამბროლაურში.

რაჭა-ლეჩხუმზე უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობდნენ და ათას ჭორს ავრცელებდნენ.

გუშინ ჩამოვიდა ქუთაისში ერთი ჩემი ნაცნობი რაჭა-ლეჩხუმიდან და მიამბო გავრცელებულ ხმების შესახებ შემდეგი:

„მეც იმ ნაირსავე ეჭვით ვისმენდი რაჭა-ლეჩხუმზე გავრცელებულ ხმებს, როგორც თქვენ, მითხრა ჩემმა მეგობარმა და რათა ნამდვილი გამეგო, განვიზრახე ამ ქვეყნის მოვლა და ნამდვილის გაგება. რაჭა-ლეჩხუმში დავყე 8 დღეს და ორი საათი არ არის, რაც იქიდან ჩამოვედი.

„განთიადი იყო, რომ ქუთაისიდან დავიძარი და იმედი მქონდა ტოლის სადგურს მივაღწევდი თუ სამხრობამდე არა, დაბინდებამდე მაინც. ტოლა მესამე სადგურია ქუთაისიდან და მანძილი 60 ვერსს არ აღემატება. ჩემი იმედი არ გამართლდა—ტოლაში მივედი მეორე დღეს, შუა დღე რომ გადასულიყო. მიზეზს ამ დაგვიანებისას ეხლავე მოგახსენებთ. რაჭა-ლეჩხუმის გზას მოსეს უწოდებენ, მაგრამ ამ „მოსეს“ სახელის მეტი არაფერი შერჩენია და წარმოადგენს გაუვალ ტალახს, სადაც ფოსტის „ბრიჩკა“ გორვით კი არ მიდის, მიცურავს. იმისთანა გზით მოგზაურობა შორს ვერ წამოყვანდა.

„დაღლილი და დაქანცული მივედი ტოლაში, სადაც კუჩრები გაფიცულიყვნენ. ვკითხე მიზეზი გაფიცვისა და ერთმა მათგანმა მითხრა შემდეგი: „ექვსი თვეა ევდოკიმოვიდან ჯამაგირი არ მიგვიღია და ამის გამო დიდი ვალი დაგვედო, ნისიად აღარაფერს გვაძლევენ და ლამის შიმშილით ამოვწყდეთ. თითქმის ყოველ თვეს დავდივართ ქუთაისში, ვნახულობთ ფოსტის იჯარადარს, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს და ამ სიარულითაც არა გამოვიდარა“.

ვნახე აგრეთვე კუჩრების ოთახი, რომელიც გამოყოფილია თავლიდან ხის ღარაბით. სიგძე ამ ვითომდა ოთახისა 4 არშინი აღმოჩნდა, სიგანე—სამი და სიმაღლე—საჟენზე ნაკლები. ამ უსატკო ოთახში კუჩრებს სძინავთ და საჭმელს იკეთებენ. ნუ დაივიწყებთ იმასაც, დაუმატა ჩემმა მოსაუბრემ, რომ ამ შესანიშნავ ოთახს კარ-ფანჯარა და ბუხარი არსადა აქვს. მაჩვენეს ცხენებიც. რომლებიც თითონ სახედრებს უფრო გვანდნენ მეტის მუშაობისა და უჭმელობის გამო, ვიდრე შესაბამ ცხენებს. როგორც კუჩრებთან ლაპარაკში აღმოჩნდა, მათი მოთხოვნილებანი გამოიხატება შემდეგში: 1. თვიურ ჯამაგირად 12 მანეთის მაგივრად მიეცეთ 20 მანეთი, 2. ჯამაგირის დარიგება სწორმოებდეს, სადაც კუჩერი მსახურებს, 3. საცხოვრებლად მიეცეთ სადგომად შესაძლებელი ჰიგიენის მხრით ოთახი და 4. ფოსტის იჯარადრის ხარჯზე კუჩრებს მიეცეთ ხალათები.

უმეტესი ნაწილი მოთხოვნილებისა ფოსტის გზის იჯარადარმა დააკმაყოფილა ძალაუნებურად. რაც შეეხება რამდენისამე თვის მიუღებელ ჯამაგირს, როგორც გვითხრეს, გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ იჯარადარს მისაცემი ფული დაუჭირონ და კუჩრებს გაუსტუმრონ სავსებით.

ამნაირად ფოსტის კუჩრების გაფიცვა გათავდა და მიმოსვლა ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, თუმცა გზის იჯარადარი ფეფელოვი და მისი დამქაში ევდოკიმოვი ბევრს ეცადნენ, რომ კუჩრების მოთხოვნილება არ დაეკმაყოფილებინათ.

მოძრაობის შესახებ ლეჩხუმში ჩემმა ნაცნობმა გადმომცა შემდეგი: „ლეჩხუმში დიდ მემამულედ ითვლებიან ალექსანდრე, ალექსი, გარმიტონი, მიხეილი და ნიკოლოზ გელოვანები. სოფელ ჟოშის მცხოვრებლები სადალოდ მუშაობდნენ მათ მამულებს და მოსავლის ნახევარს მამულის პატრონს აძლევდნენ. ასეთი გადასახადი ემძიმებოდა ხალხს და ლეჩხუმში

ელს შეუძლიან დეფილეს შესავალი დაიჭიროს სულ რამდენისამე ასი კაცით და ზედამსხმელს შესავლის წინ მიაღებინოს საომარი წესი. ამ დროს მომგერიებელთ შვენიერი სასროლი ნიშანი უჩნდებათ — მთელი ჯარები ძალაუნებურად დეფილეს შესავალს აწყდება, მაშასადამე ჯგუფდება, როგორც ხელის გულზე, და ზარალი დიდი მოსდის. წარმოვიდგინოთ, რომ დეფილეს შესავალში მომგერიებელთ დრო... მიატოვეს თავიანთი პოზიცია და უკან დაიწიეს. მათ უკან მოჰყვება ზედამსხმელი ჯარი. ფრონტი ამ ჯარისა სიგანე იქნება, რა სიგანეცა აქვს დეფილეს, ეს-კი მეტად გააგრძელებს რაზმის სიღრმეს და შეასუსტებს ფრონტის ძალას (колона). ამ ნაირად მიმდინარე ჯარის ლად ამოჟლეტას დიდი ჰკუა და უნარი უნდა, ოღონდ გვერდებიდან დააყარე ომად ქვები, ესროლე თოფი, დაუშინე ხელო ყუმბარები და სხვა, წინიდან გასასვლელში დეფილეს დაუყენე სამყოფად მსროლელნი, რომელთა ჯოჯოხეთური ცეცხლი და გააჩინონ დაუმიზნებლად, რაც შეიძლება მალის სროლით. ვინც ზედამსხმელთაგან ამისთანა განსაცდელს გაატანს, ის მტრის მსხვერპლი გახდება. დეფილეს გავალში, ცხადია, უპირატესობა იმ მებრძოლთა, რომელნიც დაიჭერენ ქალაქის დეფილეებს,—ქუჩებს, რომელთაც მტრის მომგერებლად უფრო მეტი საშუალება მოეპოვებათ, ვიდრე მინდვრად და მტერიც ბევრ წინ ეყოლებათ, ოღონდ აქ ყოველ დეფილეს დაჭერაა საჭირო, თორემ მომგერიებელთა დამღუპველი მოვლა და შემოვლა ლიან ადვილად და ფარულად შეიძლება მოხერხდეს მტრისაგან ქუჩებში. ქუჩების აღების სიძნელე, როგორც ყოველ დეფილესი, ათკეცდება ბარიკადების გაკეთებით, რაც ქალაქებში მეტად ადვილად ხერხდება, რადგან ამისთვის მასალა ბევრია და ახლოც ყოველ სახლში. გზის გადათხრა და ჩახერგვა ისე არსად შეიძლება მოხერხდეს როგორც ქალაქებსა და სოფლებში, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

იგივე ქალაქი სამხედრო მოქმედებისთვის საუკეთესო შენობებს წარმოადგენს. შენობები ქალაქებში მომეტებულ შემთხვევაში ან ქვისა ან აგურისაა. კედლები სამყოფად განიერებია. სიგანეს კედლისას და მასალას ის მნიშვნელობა აქვს, რომ თოფის ტყვია ან გაუვლის კედელს და ზიანს მიაყენებს კედელთან მდგომთ, ან სრულებით ვერ დაეკარება და ასხლტება, როგორც მაგალითად, ქვის კედელს. ბევრის გამოცდილების შემდეგ ახალ თოფის და ზარბაზნის ტყვიის ყუმბარის გამხვრეტი ძალა სხვა და სხვა საგანში ასეთია: ქვიშა-ლამს—1 არშინი, არტილერიის ყუმბარა—4 არშინი.

ჰაობიან მიწაში და თიხაში ტყვია შედის— 2 არშინზე, ყუმბარა—$5^1/_2$ არშ., ფიცრის კედელს მიწის მიუყრელად თოფის ტყვია გახვრეტავს, ყუმბარა მთლად დაანგრევს, აგურის კედელს $^1/_2$ არშ. თოფის ტყვია ყოველთვის ვერ გაჰხვრეტავს, ყუმბარა გაჰხვრეტს, დანგრევით კი დიდ ზიანს ვერ მიაყენებს.

რაკი ვიცით დაახლოვებით ძალა თოფის ტყვიისა და ზარბაზნის ყუმბარისა, ამ ცოდნის გამოყენებას და შენობებში მოწყობას მომგერებელი ადვილად მოახერხებს, რაც ბევრ შემთხვევაში სრულებით უვნებელ ჰყოფს, თუნდ ათასი ტყვია იყოს მისკენ გასროლილი. ქალაქის სახლებს ქუჩის მხარეს ყოველთვის აქვს ბალკონები. ამ ბალკონების გამოყენება შეიძლება მაშინ, როდესაც მტერი შორს არის და ფანჯრებიდან ცერადაც არა სჩანს. ბალკონებზე მდგომი მებრძოლი უშენს წინიდან თუ უახლოვდება მტერი და უკანიდან, როცა გასცდება იგი. მტრის მოახლოვების შემდეგ ბალკონებზე მდგომნი შენობას შეეფარებიან და გვერდიდან, დამღუპველ გასწვრივ სროლას აუტეხავენ. ქალაქის სახლები რამდენიმე სართულებიანებია, რაც შესაძლოდ ჰხდის იარუსებიან მოგერიებას. მინდვრად იშვიათად ხერხდება ორ იარუსიანი მოსაგერიო პოზიცია და ისიც ბევრის ხიფათის მომტანი ხდება ხოლმე, რადგან ზევით მდგომნი მეთოფენი ხშირად ახვედრებენ ქვეით მდგომთ, არტილერიის მრაპნელი, ე. ი. ქესტის ყუმბარა, ტყვიებით და წამლით გატენილი, რომელიც ხშირად სკდება ზარბაზნების ახლოს, ხანდისხან შიგ ზარბაზნის ლულაშიაც, ბევრს თავისიანებს იმსხვერპლებს ხოლმე. ქალაქის სახლები კი შეძლებას აძლევს უშიშრად ორიდან—ექვს იარუსიან მოგერიებისას ეს სასროლად. ხელჩართულ ბრძოლისთვის ყოველი სახლი წარმოადგენს ყოველ მხრივ შეკრულ რედუტს. რედუტი ჰქვიან მიწისაგან მინდორში აშენებულ სიმაგრეს, რომელსაც ყოველ მხრივ აქვს თხრილი და სასროლი ადგილები. რედუტის აღება მინდვრის ომში შეიძლება მაშინ, როდესაც უკანასკნელი მეომარი მოკვდება; მხოლოდ მაშინ შეუძლიან მტერს გადალახოს თხრილები და შევიდეს რედუტში.

მეომარი.

(დასასრული იქნება)

რომ მოძრაობა დაიწყო, ჟომხელებმაც წარუდგინეს მემამულეთ თავიანთი მოთხოვნილებანი, რომელიც დაახლოვებით გამოიხატება შემდეგში: დროებით ვალდებულ გლეხებს ნადელი არ უნდა გადახდომოდათ და სამუშაოდ აღებულ მიწების მოსავლის მეოთხედი ეძლიოთ ეხლანდელ ნახევრის მაგივრად. გელოვანებმა მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს და ამა წლის ენკენისთვეში ეგზეკუციის წესით გადაახდევინეს: ერთი გლეხი, რომელიც ყველას წამქეზებლად ჩასთვალეს, შეიპყრეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და სარდაფში ჩასვეს უჭმელ-უსმელად. ამავე დროს გელოვანებმა, იმით შეშინებულებმა, რომ ვაი თუ გლეხობამ შური იძიოსო, ასტეხეს განგაში და მაზრის ადმინისტრაციას აცნობეს, რომ გლეხები აკლებას გვიპირობენო და გვიშველეთო. საშველად ცხრა ყაზახი გამოუგზავნა მაზრის ადმინისტრაციამ გელოვანებს, რომელნიც ყაზახებთან ერთად გამაგრდნენ ციხეში და სოფელში სამხედრო წესები გამოაცხადეს. ეს დამოკიდებულება ხალხსა და მემამულეთა შორის გამწვავდა უკიდურეს საზღვრამდე. გელოვანებს გლეხებმა ბოიკოტი გამოუცხადეს და მოსთხოვეს, რომ ციხე დაეტოვებინათ, სახლებში დაბრუნებულიყვნენ, ყაზახები დაეთხოვათ და დაეფიცათ, რომ არაფერ ზომებს არ მიმართავენ ხალხის წინააღმდეგ და სამაგიეროდ აღუთქვეს, თქვენს ოჯახსა და პიროვნებას არ შევეხებითო. პირველში დასთანხმდნენ გლეხთა მოთხოვნილებას და შეჭფიცვის დღეც-კი დანიშნეს, მაგრამ ამ დროს მოვიდა ქუთაისიდან ამბავი, რომ სამხედრო წესებია შემოღებულიო და გელოვანებიც გადაბრუნდნენ და ყოველი მოლაპარაკება შესწყვიტეს გლეხებთან იმ იმედით, რომ რეპრესიულ ზომებით დაიმორჩილებდნენ ურჩ გლეხებს: ეს მოხდა ნოემბრის პირველ რიცხვებში და ჩემ იქ ყოფნის დროს საქმე იქამდე იყო გამწვავებული, რომ მცირე მიზეზს შეეძლო გამოეწვია შეიარაღებული შეტაკება გლეხთა და გელოვანთა შორის.

„ამის შემდეგ რაჭისაკენ გავსწიე და როცა ერთი კვირის შემდეგ ქუთაისისაკენ მივდიოდი, — განაგრძო ჩემმა მოსაუბრემ, — ტოლაში შემდეგი განსაცვიფრებელი სურათი ვნახე: ალექსანდრე და გრამიტონ გელოვანები გლეხებთან ერთად მიდიოდნენ ჟომხისაკენ და მშვიდობიანად მუსაიფობდნენ. ვიკითხე, როდის შერიგდნენ მეთქი და პასუხად მითხრეს, რომ ახლად დანიშნულმა მაზრის უფროსმა პაშკოვსკიმ მოარიგა მემამულენი და გლეხები და ეხლა მშვიდობიანობა სუფევსო. აღმოჩნდა, რომ გელოვანებს გლეხთათვის დაუბრუნებიათ ეგზეკუციის წესით ნადელები, მიწები სამეოთხედოდ მიუციათ და ამას გარდა ჟომხელებს ნება მისცეს მათ უფასოდ ისარგებლონ გელოვანების ტყით, რომელიც ჟომხიდან 10 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

„ვიდრე რაჭაში მოგზაურობის ამბავს გაიამბობდეთ, სთქვა ჩემმა მობაასემ, ორიოდე სიტყვით გადმოგცემთ იმას, თუ რა შთაბეჭდილება გამოვიტანე ლაილაშსა და ალპანაში ყოფნის დროს. ლაილაში მთელი ლეჩხუმის მოძრაობის ბუდეთ ითვლება და ამიტომ ძალიან გამაკვირვა იმ სიწყნარემ, რომელიც აქ ვნახე. ხალხი ძალმომრეობის გზაზე არ არის დამდგარი და თუ ითქმის რამე ლაილაშზე, მარტო ის, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციასთან ყოველი დამოკიდებულება შეწყვეტილი აქვს. როცა ვიკითხე მიზეზი, მითხრეს, რომ ბოიკოტის გამოცხადება ადმინისტრაციისადმი იმითია გამოწვეული, რომ გვინიშნავენ იმისთანა კაცებს, რომელთაც ჩვენი არაფერი გაეგებათ და თავის მოვალეობად მიაჩნიათ ყოველის ფერში დაგვამცირონ და ტყავი გაგვაძრონო. როგორც აღმოჩნდა, ლაილაშის ბოქაული ოკუნევი იმ ადმინისტრატორთაგანი ყოფილა, რომელსაც ჰგონია, რომ ხალხი ბოქაულისთვის არსებობს და არა ბოქაული ხალხისთვის და ამ პრინციპით გაჟღენთილს ბევრი იმისთანა საქმე ჩაუდენია, რომ ხალხის უკმაყოფილება და ზიზღი დაუმსახურებია. ომიანობის წესების გამოცხადება იმერეთში მეტად გახარებია და ბევრი ავი საქმე ჩაუდენია სამი დღის განმავლობაში. ამ ამბავს გუბერნატორამდისაც მიუღწევია და ოკუნევი სამსახურიდან გადაუყენებია და საქმე გამომძიებელისათვის გადაუცია.

„ალპანაში სწორეთ მაშინ მომიხდა მისვლა, როცა სოფლის ყრილობას ახლად დანიშნული ლეჩხუმის მაზრის უფროსი ელაპარაკებოდა სასოფლო სკოლის მახლობლად. მაზრის უფროსმა აღიარა ის ფაქტი, რომ ხალხმა ადმინისტრაციას ბოიკოტი გამოუცხადა და სთხოვა შეკრებილთ აგვხსენითო ეს სასჯელი, ვიდრე თითონ თქვენთვის გამოირკვეოდეს ჩვენი თქვენდამი დამოკიდებულება. მე გამსჭვალული ვარ იმ სურვილით, რომ გემსახუროთ და თქვენი საჭიროებანი დავაკმაყოფილო და თუ დარწმუნდებით, რომ ეს ჩემი სურვილი არ ეთანხმება თქვენს ინტერესებს, მაშინ ვინ დაგიშლით ბოიკოტის გამოცხადებასაო, — გაათავა სიტყვა პაშკოვსკიმ. ხალხი დააკმაყოფილა ასეთმა განცხადებამ და ბოიკოტი ახადა ადმინისტრაციას. რამდენად მკვიდრი იქნება ეს შერიგება, ამას მომავალი გვიჩვენებს“.

„ლეჩხუმიდან პირდაპირ მივედი ონში, სადაც ცხოვრების მიმდინარეობა ნორმალურად მეჩვენა. ყაზახები აქაც სალაპარაკოდ არიან გამხდარი. ენკენისთვემდე წესიერად იქცეოდნენ თურმე და მერე მოსწყინდათ რაჭაში ყოფნა თუ სხვა რამე შეიქმნა მიზეზი, შეუდგნენ თავის დასაგმობ საქციელს — გახშირდა ქურდობა და ავაზაკობა ყაზახთა შორის. ხალხი აღშფოთდა. ბევრჯელ ითხოვა ყაზახების ონიდან გაყვანა, მაგრამ 14 ნოემბრამდე არავინ ფიქრობდა მათ წაყვანას, 14 ნოემბერს კი გუბერნატორის განკარგულებით ყაზახები ქუთაისს წავიდნენ. ონიდან წასვლის წინა ღამით ყაზახები, კარგის ქეიფის შემდეგ, დაბაში გავიდნენ, რამდენიმე სახლი გაჩხრიკეს, მოიქურდეს და დაბრუნდნენ. მეორე დღეს ნაქურდალი ბევრს აღმოუჩინეს.

ონიდან მომიხდა წასვლა ამბროლაურში, სადაც 30 ღვინობისთვეს საპოლიციო საერობო დარაჯების პოსტს დაეცნენ იარაღის წასართმევად. დავიარე სოფელი და ბაზარი, სადაც სახლებსა და დუქნებზე შევამჩნიეთ თოფის ტყვიის ნიშნებს. ვიკითხე მიზეზი ამისი და აი რა მიამბეს: იარაღის წაღების შემდეგ, ამბროლაურში მოვიდა მაზრის უფროსი ნახევარ სოტნა ყაზახით, რომელსაც დაევალა ხალხის დაშოშმინება და მშვიდობიანობის დამყარება. ყაზახებთან ერთად ამბროლაურში დაბინავდა დარაჯების ათიცერი ყიფიანი. იმავე ღამეს 9—10 საათზე სოფელში დაყენებული სროლა ასტყდა, ხალხი სახლიდან გამოდიოდა და სცდილობდა შეეტყო მიზეზი სროლისა. აღმოჩნდა, რომ ღვინით შეხურებული ყაზახები ჩხრეკავდნენ დუქნებს, გამოჰქონდათ ნივთები და ვინც წინააღმდეგობას უწევდა, სცემდნენ. ამის შემდეგ ამბროლაურიდან წავიდა ბოქაული კვიტაშვილი, რომელიც დღესაც არ დაბრუნებულა თავის ბინაზე. როცა ამბროლაურიდან ვაპირებდი წამოსვლას, ჩემთან მოვიდა ყაბალახში გახვეული მოხუცებული კაცი და რაღაცაზე დამიწყო ლაპარაკი. ვიდრე იქვე მდგომმა ხალხმა არ ამიხსნა, რას ლაპარაკობდა ბერი კაცი, ვერ გავიგე. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ყაზახები თარეშობის დროს შეცვივნულან მასთან იმ დროს, როცა სძინებია, კარი შეუმტვრევიათ, დაუჭერიათ და თოფის კონდახით უცემიათ იმ დრომდე, ვიდრე დარაჯების ათიცერი ყიფიანი არ მიშველებია. საზოგადოდ ყიფიანზე მითხრეს, რომ ბევრსა სცდილობდა შეეკავებინა ყაზახები, მაგრამ ვერას ხდებოდა, რადგან ყაზახის ათიცერი არაფერს ზომებს ღებულობდა ყაზახების შესაჩერებლად.

ამბროლაურიდან ალპანაში წაველ და რაც იქ მოხდა ის ხომ გიამბეთ, დაამთავრა ჩემმა მობაასემ თავისი ლაპარაკი.

მკითხველი დაინახავდა, რომ რაჭა-ლეჩხუმზე გავრცელებულ ხმებს სინამდვილესთან საერთო არა ჰქონდა-რა და რევოლიუციის მაგივრად აღმოჩნდა, რომ ყაზახები აწუხებენ ხალხს, რომელიც სცდილობს თავისი თავი დაიცვას.

კლდე.

რუსეთი

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება რუსეთში. გაზ. „კიევსკ. სლ.“-ს ერთ ერთ ნომერში შემდეგი განცხადებაა დასტამბული: „რადგან ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობა შეიცვალა, ჩვენი გაზეთი ვერა ჰბეჭდავს ვერც თრიგინალ წერილებს და ვერც ზოგიერთ ცნობებს“. იგივე გაზეთი იუწყება, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის უფროსის გენერალ-სუხომლინოვის ბრძანებით გასასყიდად მოსული ნომრები გაზ. „ნაჩალოსი“, „ნოვაია ჟიზნისა“, „რუსკაია გაზეთისა“ დაიჭირეს და არ აყიდინებენ. გაზ. „კიევსკ. ოტკლი“ სთხოვს თავის მკითხველებს, იქონიონ მხედველობაში, რომ ქალაქში საომარ წესების შემოღების შემდეგ საცენზურო პირობები ძირიანად შეიცვალა. გაზეთი ჰპირდება მკითხველებს, რომ ბეჭდვითი სიტყვის ახალ კანონის გამოსვლასა და სამხედრო წესების გადაგდების შემდეგ გააცნობს მკითხველებს ამ საცენზურო ცვლილებების ხასიათს. როგორც გაზ. „რუსკ. სლ.“ გვატყობინებს, უმაღლესი მმართველობა ბეჭდვითი სიტყვისა სამართალში აძლევს ოთხ გაზეთს: „ბირჟ. ვედ.“-ს, „რუს“-ს, „ნაშა ჟიზნ“-სა და „ნოვოსტ“-ს. როგორც ვიცით, რუსეთში ყოველივე კეთილი „მსწრაფლ-წარმავალია“ და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებასაც პატარა დღე ჰქონია, ამას დღევანდელ დეპეშიდანაც დაინახავს მკითხველი.

კიდევ რეაქციის ნიშნები. კავშირთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის კრება, როგორც „რუს. სლ.“ გვატყობინებს, პოლიციას დაუშლია. ინჟინერთა კავშირის სადგომში, სადაც უნდა ეს კრება მომხდარიყო, მისულა პოლიციელთა რაზმი ბოქაულის წინამძღოლობით. პოლიციელებმა კრება დაშალეს და, როდესაც კრების წევრებმა მოსთხოვეს მათ ოქმის შედგენა, ბოქაულმა უპასუხა, რომ გრადონაჩალნიკისაგან ბრძანება გვაქვს, კრება ოქმის შეუდგენელად დავშალოთო.

უმაღლესი მადლობა. გაზ. „რუს. ინვ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი: „ხელმწიფე იმპერატორი უცხადებს უმაღლეს მადლობას ყაზახთა ჯარებს თავგანწირულ, დაუღალავ და ერთგულ სამსახურისათვის როგორც ომის ველზე, ისე სახელმწიფოში შინაურ მშვიდობიანობის დასამყარებლად.“

ახალ პარტიის ორგანო. გაზ. „ბირჟ. ვედ.“ იღებს საკონსტიტუციო-დემოკრატიულ პარტიის პლატფორმას და სახელად ერქმევა: „სვობოდნი ნაროდ“ (თავისუფალი ხალხი). გაზეთს მეთაურობენ მილიუკოვი და პ. სტრუვე.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

ეტერბურგის ბირჟა 12 ნოემბ.	**1905 წ.**
ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5¼—7%
4% სახელმწიფო რენტა	87⅓
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	85,½
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	451½
5% მე-2 შინ. სს. მოგ. ბილ. 1866 წ.	346½
5% გირ. მოგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	280
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურც ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო. მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. უფასო ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ალაქის სამკურნალოს განყოფილებანი

ავლაბარსა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო. ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის. უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—23).

ამ წლის 11 დეკემბრიდან
გამოვა ყოველ დღიური სრულ პროგრამიანი
პატარა გაზეთი
2 კაპ.

პატარა გაზეთი ებრძვის ვინც გმობს ერთობას
პატარა გაზეთი ებრძვის, ვინც სთრგუნავს თავისუფლებას
პატარა გაზეთი ებრძვის, ვინც ღალატობს ძმობას

დაბარება შეიძლება { ერთის წლით 3 მან. ნახევარის წლით 2 მან. ცალკე ნომერი 2 კაპ.

რედაქტორი ვ. მირიანაშვილი. | გამომცემელი ქ. მესხი.

ვინც ამ თვით დაიბარებს, დეკემბრის ნომრები მუქთად დაურიგდებათ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Домъ Дворянства, Редакція „Патара Газети“.

ქუთაისში: ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში ბათუმში: ალ. გოგიჯანიშვილთან, ფოთში: ალ. გეგუშვილთან.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისთვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულ 1860 წელს

რეზინის კალოშების ყოველს ცალს, ხოლოდ ყუთებზედაც მიაკრავენ კალოშის ძირის ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წლისნიშნად „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხედში (ფაბრიკის ნიშანი).

ნარდად გაჰყიდის იწარმოებს საგუშ-რა სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

გამგეობა

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ რწმუნებულთა არჩევნები მომავალ სამის წლისთვის (1909—1909 წ.წ., წესდების მე-66 §-ის თანახმად, დანიშნულია:

მესამე ჯგუფის არჩევნებისთვის—ამა წლის 11 დეკემბერს; მეორე ჯგუფის არჩევნებისათვის – 18 დეკემბერს; პირველ ჯგუფის არჩევნებისთვის—26 დეკემბერს.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კაპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელო, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
ხიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფაი, თარგმანი სომხურიდან გ. ევანგულოვისა	1	—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას **სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ,** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება იანვრიდან იანვრამდე.

პირველი ნომერი გამოვა 1 იანვარს.

რადგანაც ფოსტა-ტელეგრაფი არა მოქმედებს, მუდმივ სტამბების გაფიცვისა და არეულობის გამო იძულებული ვართ მეორე წლის პირველი ნომრები გამოვსცეთ იანვრიდან.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წ. კ. გ. საზოგადოების“ კანცელარიაში და მარიამ დემურიას სადგომში—ალექსანდროვის ქუჩა № 5.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან. ნახევარ წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 50 კაპ. ცალ-ცალკე ნომერი „მცირე წლოვანთათვის“ 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად

პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, Редакція „НАКАДУЛИ“.**

რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**